




იმისთანა წმინდა საძმომი, ბძგბიტ ბქე-
უტი სიფყაა, ფყუილებით და ჭბბბბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბბბბბბუ უსამაგლუხია.

ბამოღბს 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპრეზენტატივა

ბარასკევი, 14 იანვარი. 2022 წ. №7 (9345) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

რალაა იბი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“...



რას ნიშნავს
ნატვმ
დაფიბება
21-მ
საუბრებში?

ბიზკოინსვილიზაცია და სპანური სინაგოგა

„ფრთხილად, დროშის ქურდობა არ დაბუნაემონ“!



„ნაციონალური
დროშის“
დღე

ი. წ. ძველი სტილით ახალი წლის დადგომასთან ერთად, 14 იანვარს. საქართველოში იმ „სახელმწიფო დროშის“ დღე აღინიშნება, რომლის შინაარსი მოქალაქეების აბსოლუტურ-მა უმრავლესობამ დღემდე არ იცის... არადა, როდესაც სა-აკაშვილისდროინდელი საკრებულოს 43 წევრის მიერ მი-ღებული დადგენილების საფუძველზე თბილისის მერიის თავზე „ისტორიული (დავით აღმაშენებლის) თეთრი წითელ-ჯვრიანი დროშები“ აღიმართა, არავის გახსენებია, რომ პირ-ველი ქართული უნივერსიტეტის პროფესორის აზრით „თეთრ ფონზე გამოსახული ხუთი ჯვარი კათოლიკური სამყაროს ინ-ტეგრაციული სიმბოლოა და ის ჯვაროსნულ ეპოქაში შეიქმ-ნა“ (თედო დუნდუა, „ძელი ცხოვრებისაი და მისი ვარიან-ტები“, თბილისი, 2000). ამასთან, ვინაიდან „იერუსალიმის ჯვარი“ („მოლივლივე“ დიდი ჯვარი სწორი მცირე ჯვრე-ბით) სრულიად სხვა ფორმისაა, არ შეიძლება ის ქართული დროშის ანალოგად ჩაითვალოს, ხოლო „ნაციონალურ დრო-შად“ მიჩნეულ ხუთჯვრიან სიმბოლოს ჯვაროსნების მიერ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში დაფუძნებული ერთ-ერთი ორდენი იყენებდა, რის თაობაზეც აკადემიკოსმა ჯურამ შარაძემ არა-ერთხელ განაცხადა საქვეყნოდ, ხოლო ბატონი აკაკი ბაქ-რაძე გვაფრთხილებდა „ფრთხილად, დროშის ქურდობა არ დაგცნამონ“ (გაზეთი „საქართველო“, №54, 1997 წელი).

მანამდე, ქართული ისტორიული დროშების ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა სვიმონ გამსახურდიამ გაზეთე-ბის მეშვეობითაც ამცნო საზოგადოებას, რომ „მე-14 საუკუნეში ანონიმი კათოლიკე ბერის მიერ შექმნილ ატლასზე ჩასატული ხუთჯვრიანი დროშა შეუძლებელია 2 საუკუნით ადრე მოღ-ვანე დავით აღმაშენებელს დაფუძნებულ. ამის დამადასტუ-რებელი არც ერთი ისტორიული ცნობა არ მოგვეპოვება. წყა-როების მიხედვით, არც მანამდე და არც მე-11-12 საუკუნეების ქართულ დროშებზე ხუთი ჯვრის გამოსახულება არსად ფი-გურირებს...“ (ამისთვის, ბატონი სვიმონი ჰერალდიკის სა-ხელმწიფო კომისიიდან დაითხოვეს...).

ისიც ფაქტია, რომ არსებული სახის ხუთჯვრიანი დროშა პირველად „მოქკავშირის“ ღონისძიებებზე 1995 წელს გამოჩ-ნდა. ოპოზიციაში „მივლინებულმა“ სააკაშვილმა ის ჯერ „ნაცმოძრაობის“ სიმბოლოდ აქცია, მერე დავით აღმაშენებ-ლის დროშად „მონათლა“ და სახელმწიფო დროშადაც „გა-ამწესა“, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ ჰერალდიკის საბ-ჭოს მიერ ადრე „ჯვაროსან ჯოფრუა დე ბუილონის (გოდ-ფრი ბუიონელის) ემბლემად, იერუსალიმის გერბად და წმინ-და ნიშნად“ მოხსენიებული ხუთჯვრიანი სიმბოლო საქარ-თველოში უკვე „სავარაუდოდ, გიორგი ბრწყინვალის დროს დამკვიდრებულად“ ჩათვალა... არადა, სავსებით შესაძლე-ბელია, მართლაც გიორგი ბრწყინვალეს შემოეტანა ეს დრო-შა საქართველოში, რადგან პალესტინაში რამდენიმე ქარ-თული მონასტერი აღადგინა და ქართველ პილიგრიმებსაც გაუთავისუფლა წმინდა მიწამდე მისას-ვლელი, მაგრამ მეცნიერულად ეს ჯერ დადასტურებული არ არის.

საბაღისწერო 1922 წელი

ფიცი გვანამს... მეცა გვასინებს

„აუბ-ვა სანაქციები უნდა დაუნაოს მოსკოვს!“

9 სანატორიის წერილი ჯო ბაიდანს

თამარ მეფის მონეტა ჭადრაკის დედოფალს

სამ-ის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილს თამარ მეფის საკოლექციო მონეტა საჩუქრად გადასცა. როგორც კობა გვე-ნეტაძე სოციალურ ქსელში წერს, როდესაც ეროვნული ბანკი ახალ საკოლექციო მო-ნეტას უშვებს, მას გამორჩეუ-ლი ღვანლის მქონე ადამიან-ებს საჩუქრად გადასცემენ, ვისი მოღვაწეობაც მონეტის თემას მიესადაგება.

„ეს გადაწვეტილება ყო-ველთვის ხანგრძლივი ფიქრის და მსჯელობის საგანია. თუმ-ცა, უნდა ვაღიარო, რომ თამარ მეფის მონეტის შემთხვევაში, გადაწვეტილება მყისიერი და ერთსულოვანი იყო.“

ქალბატონი ნონა – პირვე-ლი დიდოსტატი ქალი მოჭად-რაკე და მრავალჯობის ჩემპიონ-



ნი, რომელიც თამარ მეფის მსგავსად, ტოლს არ უდებდა მა-მაკაცებს იმ დარგში, სადაც ქა-ლის მასშტაბური წარმატება წარმოუდგენელი იყო. მან ქალ-თა ჭადრაკი მამაკაცთა ჭადრა-კის დონეზე აიყვანა და საქარ-თველოს სახელი მსოფლიო მას-შტაბით წარმოაჩინა. ვფიქრობ, საქართველოს ეროვნული ბან-

კის თანამშრომლებისგან თა-მარის საკოლექციო მონეტის გადაცემა მისი საქვეყნო ღვაწ-ლის სიმბოლოური აღიარებაა. ჩემთვის განსაკუთრებით სა-ამაყოა, რომ მონეტის მთლი-ანი თანხა ეროვნული ბანკის თანამშრომელთა ძალისხმე-ვით შეგროვდა“, – წერს კო-ბა გვენეტაძე.

რუსეთს მოვუწოდებთ, პატივი სცეს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ტერიტორიულ მთლიანობას



რუსეთს სამხედრო ძალები ჰყავს განლაგებული საქართველოში, ყირიმსა და მოლდოვაში და ეს ძალები მანდ შესაბამისი ქვეყნების მთავრობების თანხმობის გარეშე იმყოფებიან, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე მოკავშირეებმა რუსეთს მოუწოდეს, საქართველოდან, უკრაინიდან და მოლდოვიდან თავისი ძალები გაიყვანოს და პატივი სცეს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ფუნდამენტური პრინციპია ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. ჩვენ მზად ვართ, რუსეთთან დიალოგში ჩავეერთოთ, თუმცა ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით კომპრომისზე არ წავალთ. ეს ნება ევროპაში ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ასევე კომპრომისზე არ წავალთ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორცაა თითოეული ქვეყნის უფლება, თავად აირჩიოს საკუთარი გზა“, — აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

სალომე ზურაბიშვილი: ამ რთულ გეოპოლიტიკურ დროში ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს თავისი პარტნიორების იმედი უნდა გვქონდეს



საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის მიერ გაკეთებულ განცხადებას მიესალმება.



„იენს სტოლტენბერგმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. ამ რთულ გეოპოლიტიკურ დროში ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს თავისი პარტნიორების იმედი უნდა გვქონდეს, რომ ისინი გააგრძელებენ ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას“, — დაწერა სალომე ზურაბიშვილმა Twitter-ზე.

ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნატო კომპრომისზე არ წავა ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორცაა თითოეული ქვეყნის უფლება, თავად აირჩიოს საკუთარი გზა.

პრეზიდენტმა სვლილებებს ხელი მოჰწერა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ხელი მოაწერა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც ითვალისწინებს სამსახურის გაუქმებასა და მის ნაცვლად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ამგვარი სტრუქტურული ცვლილებების მიზართ არსებობდა და არსებობს განსხვავებული შეხედულებები, თუმცა ეს განსხვავებული არ შეიცავს თავისთავად კატეგორიული ხასიათის სამართლებრივ წინააღმდეგობას. სამსახურის გაუქმება და ახალი სტრუქტურების დაარსება თავისთავად არ იძლევა საფუძველს პრეზიდენტის მხრიდან სამართლებრივი ხასიათის მოტივირებული შენიშვნებისათვის...

„დღეს ხელი მოვაწერე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც ითვალისწინებს სამსახურის გაუქმებასა და მის ნაცვლად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ამგვარი სტრუქტურული ცვლილებების მიზართ არსებობდა და არსებობს განსხვავებული შეხედულებები, თუმცა ეს განსხვავებული არ შეიცავს თავისთავად კატეგორიული ხასიათის სამართლებრივ წინააღმდეგობას. სამსახურის გაუქმება და ახალი სტრუქტურების დაარსება თავისთავად არ იძლევა საფუძველს პრეზიდენტის მხრიდან სამართლებრივი ხასიათის მოტივირებული შენიშვნებისათვის...“

თავთა მებრალიზირებული - გეგმა ბასილიას: მიუხედავად ჩადენილი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია!



იურიტი კაცი ხარ, საკმარისად აზიციურიც და არ მისმის რატომ სწორად უნდა მოხდეს მკვლელობა? — ასე ეხმიანება სოციალურ ქსელში საჯარო სამართლის დოქტორი თამთა მეგრელი შვილი პატიმარ სააკაშვილის ადვოკატის ბექა ბასილიას განცხადებას იმის შესახებ, რომ „მიხეილ სააკაშვილს ასამართლებენ იმის გამო, რომ საკუთარ სამშობლოში დაბრუნდა“.

„კოლეგავ, საზღვრის უკანონო კვითა დანაშაული არ არის? მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ბექა ბასილიამ ექსპრეზიდენტის საქმის განხილვის დაწყებამდე განაცხადა — „მიხეილ სააკაშვილს ასამართლებენ იმის გამო, რომ დაბრუნდა საკუთარ სამშობლოში“.

რუნდა საკუთარ სამშობლოში“. კოლეგავ, სამართალს „სენტიმენტები“ არ აინტერესებს, ის დაცლილია ემოციისგან. სამართალმა. იცის — დაშვებულია ან დაუშვებელია შესაბამისად, კანონიერია ან უკანონოა. ემოციებს მიღმა სინამდვილე ასეთია: უკრაინისა და საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიხეილ სააკაშვილმა გადმოკვეთა ორი სახელმწიფოს საზღვარი.

უკრაინაში საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ფაქტზე მის მიმართ აღიძრა საქმე, მოხსნეს სასაზღვრო სამსახურის სამხრეთ რეგიონული სამართლებლო რამდენიმე თანამდებობის პირი და ასევე ოდესის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ხელმძღვანელი.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი, ეს უსამშობლო კაცი საქართველოში „კარგად დაგეგმილი“ სქემით არაუნით საფრთხილო დაბრუნდა (გზაში შექმნა ვიდეოჩანაწერიც, როგორც ერთგვარი გატაცების ინსცენირება, რომლის გამოყენება არ დასცალდა). სააკაშვილის მიერ საქართველოს საზღვრის უკანონო კვეთა და მის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია.

იურიტი კაცი ხარ, საკმარისად აზიციურიც და არ მისმის რატომ სწორად უნდა მოხდეს მკვლელობა და სახელს პოლიტიკურად მკვდარ კანონდარღვევებზე სააკაშვილს?!

უიცი გვხვას... მიუა გვასივნებს

მე თვითონაც არ ვიცი რა მოხდება ჩვენს თანამშრომლებს

„მე მინდა ვუთხრა მათ, ჯერ ერთი დიდი მადლობა, იმისთვის, რომ არიან წესიერი, მშრომელი, ქართველი ადამიანები და ბოდიში მინდა მოვუხადო მათ, რომ ჩემ გამო რამდენიმე თვე, ეს ძალიან წესიერი ხალხი, რომელიც უბრალოდ თავისი შრომით ირჩენს, ყოველდღიურ პურს მოიპოვებს, დააკარგინეს ეს დრო. მე თავიდანვე მოვუწოდებ მათ, რომ ყველაფერი, რასაც ეტყობოდა, დაეწერათ, იმიტომ, რომ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და მე მინდა კიდევ ერთხელ ბოდიში მოვუხადო, რომ ჩემ გამო ადამიანები დაიჩაგრნენ. მე ყველაზე უკანასკნელი რაც ვინდოდა, ყოფილიყო ის, რომ ეს ადამიანები ყოფილიყვნენ რაღაცნაირად დაჩაგრული. ნაირმანიძე გიორგი ასევე, აი ხომ ხედავთ, მე თავითონაც არ ვიცი რამდენად თანამშრომლებს, რეალურად არც გამოგია, ვინ არის გიორგი ნაირმანიძე ცხოვრებაში, წონორიებიც ვიცი ტელევიზიიდან“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



მიხეილ სააკაშვილი მოსამართლეს...

მე მსამართლის შენიშვნამ გააღიზიანა. მოსამართლემ მას წესრიგისკენ მოუწოდა და განუმარტა, რომ სასამართლო სხდომაზე იმყოფება.

„ჩემთვის საერთოდ არავინ არ ხართ. მე მივმართავ ქართველ ხალხს, რომლის წინაშეც აქ წარვდგები და ვერაფერი გამაწყვეტინებს. თუ გამაწყვეტინებთ, ქართველი ხალხი გაგცემთ პასუხს. მე სად ვბრძანდები ძალიან კარგად ვიცი — ეს დარბაზი ჩემი აშენებულია; დროსა, რომელიც თქვენს უკან არის, ჩემი გაკეთებულია; ეს სკამი, რომელზეც უხინართ, ჩემი დადგმულია; ეს აუდიტორიაც ჩემი გაკეთებულია, ეს გალიაც ჩემი აშენებულია. მე სად ვარ, თქვენი ახსნა-განმარტება არ მჭირდება“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ჯარების დახმარებით მოახდინა გადატრიალება საქართველოში“, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მიხეილ, რატომ ჩამოსვლა მიუა?!

„მძხინვარებელი, სააკაშვილის ჩამოსვლამ არაფერი ისეთი ეფექტი არ მოახდინა. თვლა იცით? ადგილობრივ არჩევნებს უპრობლემოდ იგებდა ეს მთავრობა ყოველთვის. ადგილობრივ არჩევნებზე ხალხი არ გამოდიოდა. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ოპოზიციამ მოიგო ადგილობრივი არჩევნები ყველგან საქართველოში. აი, რა მოიტანა საქართველოში სააკაშვილის ჩამოსვლამ. ჩემმა ჩამოსვლამ ბოლო ლურსმანი ჩაასო რეჟიმის ლეგიტიმურობის კუბოში. ჩემმა ჩამოსვლამ მოიტანა ის, რომ ოპოზიციამ ერთიანად როგორც არასდროს. ჩემმა ჩამოსვლამ მოიტანა ის, რომ ხალხში აქტიურობა და იმედი, როგორც არასდროს. ჩამოსვლამ მოიტანა ის, რომ სააკაშვილი არის მომეტებული საფრთხის წყაროს შემოყვანილი. მომეტებული საფრთხე რა არის? — არა ატომური ბომბი და ა.შ. მინდა გავაკეთო აღიარება, მე ვარ მომეტებული საფრთხის წყარო. მე ვარ მომეტებული საფრთხის წყარო ოლიგარქ ივანიშვილისთვის. იმაზეც ვერ არის წყნარად, რომ ციხეში ვზივარ“, — განაცხადა ბრალდებულმა მიუამ.

თანამშრომლები არ ახსნის, ნანაშვილი ხალხი არ ახსნის, ცოლ-შვილი არ ახსნის... აი, სუბა ახსნის

„მე არ ვიცი, რამ გამახსენა, მაგრამ, რატომღაც გამახსენდა... არავის არ გვულისხმობ... გორის პოსტიტლთან რამდენიმე უბატრონო ძაღლი იყო. რამდენი ჩემგან დეპუტატი, ადვოკატი, ვიღაც გავიდოდა და განცხადებას აკეთებდა, ერთი ძაღლი იყო, ძალიან საყვარელი ცუცა, რომელიც ყოველთვის შედიოდა კადრში და როგორც კი ისინი განცხადებას იწყებდნენ, ის ყველას იწყებდა. ეს იყო მისი ცხოვრებისეული ფუნქცია, რომ განცხადების გაკეთების საშუალება არ მიეცა. როცა ახალი წელი მილოცეს და მე გადავძახე, იქაც იდგა და მანშობდა მე. ყველას სხვადასხვა ფუნქცია აქვს თავის ცხოვრებაში. არ მინდა, ვინმემ თავის თავზე მიიღოს, თუ ვინ არის ეს ცუცა კონკრეტულად. ის სიმბალიური ცუცა იყო, არსებობენ ცუდი ქუჩის ძაღლები“, — თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

გიორგი გაგასხურდია: არ გამკვირვებია მიუასგან ეს მოწარმე!

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილი, გიორგი გაგასხურდია მიხეილ სააკაშვილის გუშინდელ პროცესს ეხმიანება, სადაც ექსპრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ იხსენიებდა. „არ გამკვირვებია მიუასგან ეს მოწარმე, კაცი ხუნტის წარმომადგენელი იყო კვიეში, ვგრე წარუდგინა თავი ყურნალისტს, მარია გრაჩიკს და შესაბამისად, რუსული ხუნტის ნარატივის თანახმად, ზვიადმა, კარგად საკუთარ სამშობლოში“.

ნონიერმა პრეზიდენტმა, უკანონოდ გადმოლახა საზღვარი. როგორც ჩემი საყვარელი კახელები იტყვიან, სად ერეკლეო... P. S. ისე ჩამოშალა, მზახნი პოლიტიკოსი ხარ, უკრაინელი თუ მართლმადიდებელი. ზვიადი იქაზდა, ის ზვიადი, მინდობა პაპასიდე უსაინს უფოდავი, რომ ვინც ვცდივარ სადმე გადააქეთფისო, იმაში ვერ მახდობა და მართლმადიდებლებს დაპატივებო. ცნობისათვის, ისე რომ იცოდეთ...“, — წერს გიორგი გაგასხურდია Twitter-ზე.

ერთობის ფისი სვანებს ბევრჯერ ღაუღიათ, მათ შორის, ბოლშევიკების, რუსული გადასახლებისა და ხულონკების წინააღმდეგ. ტრადიციას, რომელიც სვანეთში დღემდე შემორჩა, აღრე დავებინე, უფრო მოგვიანებით კი მაშინ, როდესაც პრობლემას სახელმწიფო ვერ ან არ აბგარებდა.

„მეზღვივართ ყვილანი და ვითყავით“, — ამ მოწოდებით დაასრულეს 2021 წელი მესტიის და ასე გადაიკვეთა ერთმანეთთან ხატზე დაფიცება და კრიპტოვალუტის წარმოება — ორი რამ, რაც წესით, არც დროსა და არც სივრცეში არ უნდა გადაკვეთილიყო.

მესტიის მკვიდრი ხვიჩა ჩართოლანი ერთ-ერთი მათგანია, ვინც 30 დეკემბერს, მესტიის წმინდა გიორგის ტაძარში მივიდა.

„იძახიან, დაფიცება, დაფიცებაო. უბრალოდ შეიკრიბა ხალხი და თავისი აზრი გამოთქვა. მე გამოვედი და ვთქვი, არ მისარგებელია და არც ვისარგებლებ, ხალხის საზიანოს არ გაგვაკეთებ-მეთქი. ასე თქვა თითქმის ნახევარზე მეტმა“, — ხვიჩა „რადიო თავისუფლებას“ ეუბნება, რომ უმეტესობას, ვინც ტაძარში იყო შეკრებილი, კრიპტოვალუტასთან არც არაფერი აკავშირებს.

მთის კანონით განსაზღვრული შეღავათი, უფასო ელექტროენერგია, გახდა იმის მიზეზი, რომ ბოლო წლებში სვანეთში კრიპტოვალუტის, ციფრული ფულის წარმოების, ბუშია. კრიპტოვალუტების წარმოებას მძლავრი კომპიუტერები, აქედან გამომდინარე კი — დიდი რაოდენობით ელექტროენერგია სჭირდება.

მესტიის მერიის მონაცემებით, 7 მეგავატის ნაცვლად, მოსახლეობა დღეს 27 მეგავატს წვავს. ამგვარ დატვირთვას ისედაც მოძველებული სადენები ვერ უძლებს, რის გამოც ხშირად ითიშება დენი, ჩნდება ხანძრები, მწყობრიდან გამოდის ტექნიკა.

„ექვსი წელია, ეს პრობლემა არ მოგვარდა და მივმართეთ უკიდურეს ზომას... შესრულდა ხატზე დაფიცების რიტუალი, რომელიც მოიცავდა ერთადერთ უმეტეს, რომ გაგვეთხრა მოსახლეობას მაინერები ჩვენ, სხვა ალტერნატიული გამოსავალი არ დაგვიტოვებს“, — ამბობს მესტიის მკვიდრი ანა ჩართოლანი.

ხვიჩა ჩართოლანის თქმით, ასაკოვანმა მესტიელებმა პირობა ასე ჩამოაყალიბეს: „ვინც დღეის მერე არ გამორთოს, ამ ხატს და ჯვარს ებარებოდესო. ამინო, შესძახა ხალხმა და მას შემდეგ შედარება არ არის, გვაქვს დენი. მაგრამ ეს მხოლოდ მესტიას ეხებოდა, ახლა სხვა სოფლებთანაც უნდა ვიმუშაოთ“.

ბოლშევიკების და ხულონკების წინააღმდეგ

ფიცის, რომელიც სვანეთში მაინინგის აღსაკვეთად დადეს, ერთობის ფიცს უწოდებენ. ასეთი ფიცი დაიდო 1921 და 1924 წლებშიც, როდესაც სვანეთის მოსახლეობა ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა.

იგივე ფიცი დადეს ხალხს აჯანყების დაწყებამდეც. 1875 წელს მეფის რუსეთმა სვანეთში არაყსა და თამბაქოზე სააქციზო გამოსაღები შემოიღო. საადგილობრივად გადასახადის დასაწესებლად ნამესტინკებმა მიწების აზომვაც დაიწყეს, რასაც ხალხის მასობრივი პროტესტი მოჰყვა. 2 ათასამდე ადგილობრივი სოფელ კალაში ლაგურკას ეკლესიასთან შეიკრიბა, სადაც სვანეთის სინინდე, მე-12 საუკუნის მაცხოვრის ხატი (შალიანის ხატად წოდებული) ინახება. მოსახლეობამ სწორედ მასზე დაიფიცა, რომ რუსებს წინააღმდეგობას გაუწევდნენ.

„ეთნოგრაფი ეგნატე გაბლიანი აღწერს სხვა შემთხვევასაც. როდესაც მეფის ხელისუფლება გადავიდა, ქვეყანაში განუკითხაობა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო. მაშინ შეკრებილან სვანები წმინდა კვირიკეს ეკლესიაში და დაუფიცავთ, რომ დანაშაულს არ ჩაიდინდნენ“, — უყვება „რადიო თავისუფლებას“ ეთნოგრაფი როზეტა გუჯეჯიანი.

ერთობის ფიცი დაიდო 2013 წელსაც. სვანები მაშინ ხულონკების მშენებლობის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მონაცემებით, მას შემდეგ ამ ფიცს სვანეთის ბევრი სხვა თემიც შეუერთდა, რომლებიც სხვადასხვა პროექტს აპროტესტებდნენ.

ხაი შელი ზურაბ ნიჟარაძე ერთ-ერთი აქტივისტია, რომელიც ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ იბრძვის.



ბიტკოინისივილიზაცია და სვანური სინაგოგა

ის ფიცის ტექსტის შედგენაშიც მონაწილეობდა, რომელიც წმინდა გიორგის ხატთან თვითონაც დადო. მის გარდა დაიფიცა კიდევ 56-მა ოჯახმა. ამბობს, რომ თავიანთ პრინციპებს ისეც ბოლომდე უერთგულებდნენ, მაგრამ ფიცის დადებამ კიდევ სხვა დატვირთვა ჰქონდა.

„წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, ბინძური ქორები გაგვივრცელეს, თითქოს იმისთვის ვიბრძოდით, რომ უფრო მეტი სარგებელი გვინდოდა ინვესტირისგან. დაფიცეთ, რომ მთელი საქართველოსთვის დაგვეწახვებინა, ფინანსური სარგებელი არ იყო ჩვენი მიზეზი. მათ შორის ისეთმა ხალხმაც დადო ფიცი, ვისაც სახლში მხოლოდ ერთი კვირის სამყოსი ფეცილი ჰქონდა. დაფიცება სახელმწიფოს სისუსტის გამოხატულებაა, როდესაც სახელმწიფო ხალხს არ უსმენს, ასეთ შედეგს იღებს“, — ამბობს ზურაბ ნიჟარაძე.

უკვე 2018 წელს სვანეთში ლალხორი მოეწყო, რაც სვანეთის ყველა თემის წარმომადგენლების შეკრებას ნიშნავს. ლალხორი იღებს გადაწყვეტილებებს, რომლის აღსასრულებლად ხატზე დაფიცების რიტუალი ტარდება. ვარაუდობენ, რომ 1948 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სვანეთში ლალხორი შეიკრიბა. ლალხორის მოთხოვნებს შორის იყო მთელ სვანეთში ჰესების მშენებლობის, ოქროს წარმოებისა და ბუნებისთვის, ადამიანის საცხოვრისის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის მავნებელი სამუშაოების აკრძალვა, მათ შორის იგულისხმებოდა: ხულონკისი, ნენსკრა ჰესი, მესტიაჭალა ჰესი და ზემო სვანეთში დაგეგმილი სხვა 50-ზე მეტი ჰესი.

აღრე და ახლა...

„მეზღვივართ, ხატზე დაფიცება შედეგს ვერ მოიტანს, რადგან ვინც ღვთის მოშიშია, ისედაც არ გააკეთებს ასეთ რამეს“, — ამბობს ეთნოგრაფი როზეტა გუჯეჯიანი და „რადიო თავისუფლებას“ უყვება, თუ საიდან წამოვიდა ფიცის დადების ტრადიცია. მისი თქმით, ფიცი, როგორც სოციალური კონტრაქტი, ძველი ქართული სახელმწიფო სამართლიდან მოდის. ფიცს იყენებდნენ როგორც ქონებრივი, ისე სისხლის სამართლის დავების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულება არაფერი ჰქონდათ. ქონებრივი დავისას დაფიცების ვალდებულება ეკისრებოდა ქონების პატრონს (მას ფიცით უნდა დაემონებინა, რომ ქონება ნამდვილად მისია), სისხლის სამართლის შემთხვევაში კი — ბრალდებულს.

უშუალოდ სვანეთში ფიცს განსაკუთრებულ შემთხვევებში დებდნენ, ძირითადად მამაკაცები. იფიცებდნენ ეკლესიაში, შედარებით მსუბუქი საქმის შემთხვევაში კი — ტაძრის ეზოში გამობრძანებულ ხატთან. საჭირო იყო თუ არა ფიცის დადება, ამას მედიატორთა ჯგუფი წყვეტდა. არსებობდა ფიცის დადების კიდევ უფრო რადიკალური ფორმა, ხატზე გადაცემა. ამ შემთხვევაში ადამიანს თუ საკამათო საქმეს, „ღვთის სამართალს“ მიანდობდნენ ხოლმე.

როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტების ესა თუ ის სტრუქტურა მოშლილი იყო, ხალხური სამართალი ამოქმედდებოდა ხოლმე. სამწუხაროდ, იგივე

მდგომარეობა გვაქვს ახლაც. სახელმწიფო ვერ ახერხებს დენის მიმტაცებელთა მხილებას და მოსახლეობას ისლა დარჩენია, მისთვის ცნობილი ერთადერთი ინსტიტუტია აამოქმედოს“, — ამბობს როზეტა გუჯეჯიანი.

როგორ უშუაობს ამ ყველაფერს ეკლესია?

„წმინდა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისადა თმისა განსუტყუებად გინა დაშავებდა. არამედ იყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰმ — ჰე და არაჲ — არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს (მათე 5, 36-37).“

ერთი შეხედვით, ქრისტიანული ტრადიცია ფიცის წინააღმდეგია. ადამიანმა რომ არ უნდა დაიფიცოს, სახარების მიხედვით, ამის შესახებ მაცხოვარმა იქადაგა, მაგრამ მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ალექსანდრე (გალდავა) ამბობს, რომ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ავიღოთ თუნდაც განქორწინების მიზეზები. დღეს ეკლესიამ ცოლქმარი შეიძლება ბევრი რამის გამო გაყაროს, სახარების მიხედვით კი ეს მხოლოდ ღალატის შემთხვევაშია გამართლებული.

„არსებობს სამხედრო ფიცი, ჯვრისწერის დროს ფიცი, პრეზიდენტები იფიცებენ ბიბლიაზე... სვანეთში ერთგვარი ფოლკლორული ფიცია გავრცელებული. თავისთავად ფიცი არც კარგია და არც ცუდი, მთავარია, რას დაიფიცავ და როგორ შეასრულებ. თავად ფიცის დამდებისათვის არის ცუდი, თუ დაარღვევს. ამ შემთხვევაში ის ზნეობრივ ადამიანად აღარ ჩაითვლება“, — ამბობს დეკანოზი ალექსანდრე. ის ასევე განმარტავს, რომ ადამიანს არ ძალუძს არც მომავლის განჭვრეტა, არც უამრავ ისეთ პროცესზე ზემოქმედება, რომელსაც შეუძლია მას ფიცის შესრულებაში ხელი შეუშალოს, — „მაგრამ ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო. იგივე ცხვრების კვლა გიორგობაზე. ეს არის საშინელი, სასტიკი სანახაობა, მაგრამ ერთგულად ვმსახურებიან, რადგან ჰგონიათ, რომ ასე ღვთის წყალობას დაიმსახურებენ. აქ ერთადერთი გამოსავალი განათლებაა, რომ ღმერთზე სხვანაირად დაფიქრდე და სხვა წარმოდგენა გქონდეს“.

რა მოხდება, თუ ვინმე ფიცს გატყუებს? დეკანოზ ალექსანდრეს თქმით, ამ შემთხვევაში არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ღმერთი დასჯის ასეთ ადამიანს. მისი თქმით, ღმერთი სიყვარულია და, შესაბამისად, ღვთის სამართალიც უფრო მონყალებსკენ ისრება, ვიდრე დასჯისკენ.

ხვიჩა ჩართოლანი წუხს, რომ თუ ელექტროენერჯის წარმოება არ შემცირდება, სვანეთს დენს უფასოდ აღარ მიანოდებენ: „თუ დენზე გადასახადი დაგვიწესეს, ეს ხალხზე ძალიან ცუდად აისახება. ზოგი პენსიონერია, ზოგი სოციალურად დაუცველი, ვერაფერი აუფა მაგას. გვრუქნიან დენს და უნდა მოვუფრთხილდეთ. მართლ შენს თავზე არ უნდა იფიქრო ადამიანი“.

თეა თოფურია.
„რადიო თავისუფლება“



ამბროსი ხელაია

1922 წლის აჯანყებები და გენუის კონსტიტუცია

სპანეთში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება 1921 წლის 28 ოქტომბერს დაიწყო. აჯანყებული სვანები მულახში მდებარე სამხარო რევოლუციური კომიტეტის შენობას დაესხნენ თავს. აჯანყებას მალე შეუერთდა რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა.

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები და რუსული წითელი ჯარის ნაწილები ჯვარის მიმართულებით გაიქცნენ. გზაზე ჩასაფრებულმა აჯანყებულთა რაზმმა მონინაალმდგის დიდძალი იარაღი ჩაიგდო ხელში. მოგვიანებით აჯანყებულებმა ადგილობრივი მოსახლეობის ხატზე დაფიცება დაინწყეს. შედეგად, მათ გარშემო 2000 კაცი შეგროვდა.

„გაგვწვევტენ და თავი მაინც ვისისხლოთ“, — ასეთი იყო აჯანყებულების გადაწყვეტილება. აღშფოთებული 80 სვანი ჩაუსაფრდა რუსის ჯარს მიუდგომელ კლდეებზე და ცეცხლი გაუხსნა. რუსის ჯარმა 80 კაცი დაკარგა და ჯვარისაკენ დაიხია (დაუშვილი ა., ანტისაბჭოთა აჯანყება სვანეთში, „საისტორიო მოამბე“, 2009-2010, №79-80).

სვანეთის აჯანყების შესახებ საქართველოს საგანგებო კომისია იტყობინებოდა: „მიმდინარეობს აშკარა ანტისაბჭოთა აჯანყება. აჯანყებულთა რიცხვი 1600 კაცამდე აღწევს. უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ეროვნულ-დემოკრატიული პარტი... მოსახლეობა შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყების სალიკვიდაციოდ გაგზავნილ ძალებს. აჯანყებას მიემხრო სვანეთის მაზრის პირველი უბნის რევკომის ყოფილი თავმჯდომარე სამსონ ქალაქი. აღინიშნება მაზრის მილიციის დიდი ნაწილის გადასვლა აჯანყებულთა მხარეზე... შეიარაღებულნი არიან რუსული, გერმანული და თურქული მარხერებით“.

აჯანყებულმა სვანებმა საბჭოთა ხელისუფლების სახელზე პეტიცია შეადგინეს, რომელიც თბილისში 1922 წლის 20 იანვარს ჩაიტანეს, თუმცა 1922 წლის 15 მარტს აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა. სვანები თავს დაესხნენ ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხეთის საგუშაგოებს და ბოლშევიკები და წითელარმიელები დაატყვევეს. მოგვიანებით აჯანყებულებმა ცაგერს შეუტყეს, მაგრამ ვერ აიღეს და უკან დაიხიეს.

1922 წლის გაზაფხულზე აჯანყებულებმა ველარ შეძლეს დამატებითი ძალებით, არტილერიითა და ავიაციით გაძლიერებული წითელი არმიის შეკავება. საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესიების გზით აღადგინა „ნესრიგი“ სვანეთში.

1922 წლის 12 მარტს ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმი, ენ. შეფიცულთა ჯგუფი გავიდა ტყეში და აღად დაუპირისპირდა საბჭოთა ხელისუფლებას.

1922 წლის ივლისში აჯანყებამ იფეთქა ფშავ-ხევსურეთში...

ისტორიკოს დიმიტრი შველიძის თქმით, სვანეთის სახალხო აჯანყებამ დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე პარტიების მოლაპარაკება, რაც 1922 წლის აპრილ-მაისში „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შექმნით დასრულდა. „დამკომი“ იყო ინტერპარტიული ორგანიზაცია, რომელსაც უნდა მოემზადებინა საყოველთაო აჯანყება დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით.

საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ აჯანყებისა და მისი ჩახშობის შესახებ აცნობა გენუის საერთაშორისო კონფერენციას, რომლის ორგანიზატორებმა რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელს გიორგი ჩიჩერინს რეპრესიების შეჩერებისკენ მოუწოდეს.

გენუის სამშვიდობო კონფერენციაზე წაიკითხეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიერ გაგზავნილი საპროტესტო მემორანდუმი:

„დაუფრთხილეს გაგვანიღ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისა და მძალადობა-მითაცებისაგან; საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებელი და უკარნახოდ, მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშავოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება. სრული იმედით მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს, გარკვევით უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უტულავებელ ყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს და დაისხნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან“.

გენუის კონფერენციამ მხოლოდის მოახერხა, რომ საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მეთაურს ბუდუმიდივანს არ დართონება, საქართველოს სახელით გამოსულიყო, რადგანაც საქართველო რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული.

საქართველო რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული.

ახსახეთის „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ შექმნა

1918 წლის ივნისში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ კვირაში, აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც ნათქვამია, რომ „შინაგანი მმართველობა და თვითმმართველობა

აფხაზეთში მიეკუთვნება აფხაზთა სახალხო საბჭოს“.

1921 წლის 21 თებერვალს კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლში ჩაინერგა:


„საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებშივე, საბჭოთა რუსეთთან ზავის დადების შემდეგაც კი, ბოლშევიკები სოხუმის ოლქში ენეოდნენ საქართველოს დემოკრატიული წეს-წყობილებსა და მისი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას და აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას, — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შს სამინისტროს არაერთ ანგარიშში.

ტექმაც, რომელმაც სპეციალურ დეკლარაციაში დაწერა, რომ საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობა საბჭოების ყრილობების შემდეგ გაირკვევა.

საბჭოთა სინამდვილეში ეროვნული სახელმწიფოებრიობის უმაღლესი ფორმა იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, შემდეგ მოდიოდა ავტონომიური სსრ, ავტონომიური ოლქი და ადრეულ ეტაპზე — შრომითი კომუნა. ტერიტორიით და მოსახლეობით ბევრად უფრო დიდი იყვნენ ბაშკირეთი, თათრეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ა.შ., მაგრამ რატომღაც მხოლოდ აფხაზეთს მიეცა ყველაზე მაღალი სტატუსი. ქართველი ისტორიკოსების ნაწილი ვარაუდობს, რომ ამის მიზეზი საქართველოს დასჯის სურვილი იყო.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, რომელიც 1922 წლის 2 მარტს მიიღო სა-



საბაჟისნარი 1922 წელი

1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა წითელმა არმიამ, რომლის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ, აფხაზეთის რევკომმა და კავშიურთა გაერთიანებულ სსდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთი გამოცხადდეს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, სოლო პარტიული ორგანიზაციას ეწოდებოდა აფხაზეთის კომუნისტური პარტია. მალევე ეს ყველაფერი აცნობეს მოსკოვში ლენინსა და სტალინს.

ისტორიკოს ლევან თოიძის თქმით, დაახლოებით ამავე პერიოდში სტალინი გაზეთ „პრავდაში“ ამტკიცებდა, თუ როგორ იჩაგრებოდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსები, აფხაზეთი, სომხები და როგორ ფართოვდებოდა საქართველო მეზობლების ხარჯზე.

1921 წლის 31 მარტს აფხაზეთის რევკომი რადიოგრამას უგზავნი ლენინს, სტალინსა და ჩიჩერინს:

„მშრომელთა ნებით იშვა ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — აფხაზეთი. აფხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა საბოლოოდ გადაწყვეტს სახლის ბედს“.

აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო საქართველოს რევოლუციურმა კომი-

ქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, ნათქვამია:


„საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შეიქმნა ავტონომიური სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სსრ; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სსრ-ს ამ რესპუბლიკათა შორის დადებული, განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“.

სერგო ორჯონიკიძემ მოგვიანებით ასე განმარტა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის ცნობის“ ფაქტი:

„როცა აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოითხოვა, ჩვენ აფხაზეთის კომუნისტებს მივუთითებდით, რომ ასეთ პატარა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა შეუძლებელია, მაგრამ დაეთანხმეთ ამაზე. ჩვენ ვამბობდით: თუ აფხაზი ხალხისთვის მიყენებული ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოშუშებულა, დაე, აფხაზეთი დამოუკიდებელი იყოს. დაე, მოშუშოს მენშევიკებისაგან მიყენებული ჭრილობები, მაგრამ შეეძლოდა აფხაზეთი თვითონ დარწმუნდებინა საბჭოთა მეზობელთან — საქართველოსთან მჭიდრო გაერთიანების აუცილებლობაში“.

აფხაზეთის დამოუკიდებლობის დროებით სასაიათზე მაშინ აფხაზი კომუნისტებიც საუბრობდნენ. ნესტორ ლაკობა დამოუკიდებლობას, ავტონომიას და სხვა პოლიტიკურ ფორმებს „უზრობრას“ უწოდებდა. ეფრემ ეშბაც ამბობდა, რომ „დამოუკიდებლობა“ შეირჩა იმ პერიოდისთვის როგორც ყველაზე ოპტიმალური ფორმა ეროვნული შულის არგალვივებისთვის.

თუმცა აფხაზეთმა ეს ახალი სტატუსი მთელი ათი წლის განმავლობაში, 1931 წლის 11 თებერვლამდე ატარა, ვიდრე აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობაზე არ მიიღეს აფხაზეთის სახელშეკრულებო სსრ-ის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის გადაწყვეტილება.



სოხუმი

სამხრეთ ოსეთის „გამოჭრილი“ ავტონომია
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა და მასში შევიდა 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი — ცხინვალი, სადაც 20 ათასი ქართველი და 100 ოსი ცხოვრობდა.

ავტონომიური ოლქის შექმნის საბოლოო გადაწყვეტილება მოსკოვში იქნა მიღებული, რასაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომლის დასკვნა ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური იყო.

„ოსების მიერ დასახლებული რაიონები მოკლებული არიან გეოგრაფიულ მთლიანობას და შეადგენენ გეოგრაფიულად და ეკონომიურად სხვადასხვა პროვინციების ნაწილებს. ასეთი ჩამონაჭრებიდან ხელგონურად შემდგარი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს ტოპოგრაფიული პირობების გათვალისწინებით“.



შალვა ელიაშვილი

ისტორიკოს ლევან თოიძის მიხედვით, ამიერკავკასიის კომისარიატი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე შიდა ქართლში მცხოვრებმა ოსებმა სამჯერ მოაწყვეს აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. სამივეჯერ აყენებდნენ საკითხს საქართველოს განთავსების საკითხს. სამხრეთ ოსეთის ჩამოცილებისა და საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ. სამივე ეს აჯანყება საბჭოთა რუსეთისა და მისი ბოლშევიკური პარტიის მიერ იყო ინსპირირებული და დაფინანსებული.

თუმცა ერთი ავტონომიის მოთხოვნა და მეორე — ტერიტორიის გამოყოფის საკითხი. თვითონ ოსმა ბოლშევიკებმა საკითხი ასე გადაწყვიტეს:

„1921 წლის 6-8 სექტემბერს გამართულმა სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის სხდომამ დაადგინა: სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობა ცენტრით ცხინვალში და, რომ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ნებაყოფლობით შედის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან ფედერაციულ კავშირში“.

ამავე სხდომაზე შემუშავდა „ახალი რესპუბლიკის“ საზღვრების პროექტი, რომელმაც მოიცვა გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრების რამდენიმე ათეული ქართული სოფელი.

ცხადია, ამ საკითხშიც გადაწყვეტილი იქნა ეკუთვნოდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ის კავბიუროს, რომელმაც შალვა ელიაშვილის მოხსენების საფუძველზე დაადგინა: მიენიჭოს სამხრეთ ოსეთს ავტონომიური ოლქის სტატუსი და საქართველოს რევკომმა სამხრეთ ოსეთის აღმასკომთან ერთად დაადაგინოს მისი საზღვრები.

გრიგოლ ლორთქიფანიძემ, პირველი რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელის მოადგილემ ოსურ ავტონომიის ხელგონურად გამოჭრილი უნდა:

„ჩამოჭრილი ტერიტორიების გარეშე დარჩენილი საქართველო ფორმალურად გამოცხადებული იქნა საქართველოს საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, მაგრამ თვით ეს საქართველოც ძლიერ დასერიდა და დასჭრა რუსეთმა პოლიტიკურად და ტერიტორიულად. ამ მიზნით მან გამოაცხადა აფხაზეთის ჯერ დამოუკიდებელი, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა. ასეთივე რესპუბლიკა აჭარაში და ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთისა. ყველა ამ ე.წ. რესპუბლიკების შექმნა და მათი საქართველოსადმი დაპირისპირება და მისგან მაქსიმალურად გამოთიშვა ქველი რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალ ფორმაში გაგრძელება“.

ჯივში რახვიაშვილი,
„რადიო თავისუფლების“ ქურნალისტი (ბაზრამუშაა იმნება)

9 ამერიკელი პრეზიდენტ ჯო ბაიდენს წერილით მიმართავს. სენატორები აშშ-ს აღმოსავლეთი ვეროის ქვეყნებისა და უკრაინაში მხარდაჭერის გაზრდისკენ მოუწოდებს. წერილში ვკითხულობთ, რომ აშშ-მა და მოკავშირეებმა უნდა დაუწესონ სანქციები ვლადიმერ პუტინსა და მის შიდა წრეს.

„რომორც NATO-ს სადამკვირვებლო ჯგუფის წევრები, ჩვენ გწერთ, რათა გადმოგცეთ აღმოსავლეთი ვეროის პარტიის წევრების უსაფრთხოების და თავისუფლების ორპარტიული მხარდაჭერა, მიმდინარე კვირის NATO-რუსეთის საბჭოს მოლაპარაკებების ფარგლებში.“

მიმდინარე კრიზისი, რომელიც ხელგონურად არის გამოწვეული ვლადიმერ პუტინის მიერ, როცა უკრაინის საზღვართან რუსი ჯარისკაცების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა განაწილა, გამოხატავს პუტინის უარყოფას რუსეთის მფობრების ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

ხელმოწერილი სენატორები მხარს ვუჭერთ თქვენს ძალისხმევას, გამოიყენოს ყველა დიპლომატიური არსი, რათა პუტინისთვის ცხადი გასდეს, რომ აშშ და მისი მოკავშირეები არ მიიღებენ მის ახლანდელ აგრესიას უკრაინის მიმართ, ისევე, როგორც არ დაუშვებენ უკრაინაში შეჭრას ისე, რომ ამას არ მოჰყვებოდა მრავალმხრივი უარყოფითი შედეგები.

რუსეთის სიაში, რომელიც ის დასავლეთის მთავრობებისგან „უსაფრთხოების გარანტიებს“ ითხოვს, პუტინი ერთმნიშვნელოვნად უღელმეტყველებს აყენებს, რომ NATO-მ უფრო მეტი გამოხრის უკრაინა და პირობა დადოს, რომ ალიანსი აღარ გაფართოვდება, ასევე, ითხოვს, აიკრძალოს NATO-ს სამხედრო აღჭურვილობის განლაგება იმ ქვეყნებში, რომლებიც ალიანსს 1997 წელს შეუერთდნენ. ეს და სხვა უსაფუძვლო მოთხოვნები მიუღებელია სენატორების ამ ჯგუფისთვის.

ეს არა უსაფრთხოების გარანტიები, არამედ რუსეთის მცდელობაა, კვლავ შექმნას გავლენები ევროპაში, სადაც კრემლი ძალადობს ისეთ ქვეყნებზე, როგორცაა უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, პოლონეთი და რუმინეთი, რომლებიც ამერიკის მტრები არიან.



„აშშ-მა უნდა დაუწესოს სანქციები მოსკოვს!“

რიკის მტკიცე მოკავშირეები და პარტნიორები გახდნენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ მტკიცე ჩართულობას ჩვენს პარტნიორებთან, რათა უზრუნველყოთ კოორდინირებული და ერთმნიშვნელოვანი პასუხი პუტინის საშიში პოლიტიკის მიმართ და ვთხოვთ ადმინისტრაციას და მის პარტნიორებს, გააგრძელოს ერთმნიშვნელოვანი საყვედურები პუტინის სამხედრო მუქარების და პროვოკაციების მიმართ ჩვენი პარტნიორების და მოკავშირეების წინააღმდეგ.

აუცილებელია, რომ აშშ-მა მოახდინოს გადაწყვეტილების დემონსტრირება და უარი თქვას პუტინის მიუღებელი მოთხოვნების მშვიდად მიღებაზე. თუკი მხედველობაში მივიღებთ სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგის ფარგლებში მიმდინარე კვირის შეხვედრებს რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან, გესურს გამოვხატოთ ძლიერი ორპარტიული მხარდაჭერა შედეგად მტკიცებულ.

რუსეთს არ აქვს ვეტოს უფლება ნატოს გაფართოებისა და ალიანსის ზრდის მიმართ. ამას მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნები გააძლიერებენ; აშშ, მისი მოკავშირეები და პარტნიორები ერთგულნი არიან იმ პრინციპისა, რომ „არ არსებობს დისკუსია, ან გადაწყვეტილება უკრაინის შესახებ, უკრაინის გარეშე“, რაც ასევე უნდა ვრცელდებოდეს საქართველოზეც. ნატოს კარი ღია რჩება ევროპული ქვეყნებისთვის, რომლებიც მზად არიან დასურვილი აქვთ, შეასრულონ წევრობისთვის გათვალისწინებული ვალდებულებები და რომელთა წევრობა ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას ხელს შეუწყობს;

ნატომ მხედველობაში უნდა მიიღოს ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში გაზრდილი სამხედრო განლაგება, მათ შორის ბალტიისპირეთში, პოლონეთსა და შავი ზღვის რეგიონში რუსული აგრესიის შესაძლებლობა. საჭიროა, დამატებითი დახმარება უსაფრთხოების სფეროში უკრაინისთვის და აღმოსავლეთი ვეროის ქვეყნებისთვის, რომლებიც რუსული აგრესიის საფრთხის ქვეშ არიან, რათა რუსეთის სამხედრო ოპერაციებში ხელი შეეშალოს;

აშშ-მა და ჩვენმა მოკავშირეებმა უნდა დაუწესონ სანქციები პუტინსა და მის შიდა წრეს, რამდენადაც, ისინი აგრძელებენ აღმოსავლეთი ვეროის ქვეყნების დაშინებას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს პარტნიორებთან ერთად მუშაობას, განსაკუთრებით NATO-ში და ევროკავშირში, რათა უკან დავიხილოთ პუტინის აგრესიული ტაქტიკა. ეს წარმოაჩენს აშშ-ის ერთგულებას, დაამყაროს წესრიგი ევროპაში. მსოფლიო, რომელშიც ავტორიტარულ ტიპის სჯერათ, რომ შეუძლიათ გზა გაიკვლიონ იმპერიალისა და დაშინების მეშვეობით, ემუქრება ამერიკელების უსაფრთხოებას საზღვარგარეთ და მათ კეთილდღეობას შინ. სენატორების ჯგუფი მზადაა, მხარი დაუჭიროს უკრაინის მიმართ გაზრდილ მხარდაჭერას, შეეწინააღმდეგოს პუტინის რევანშისტულ დღის წესრიგსა და გააძლიეროს აღმოსავლეთი ვეროპაში მოკავშირეების მიმართ მხარდაჭერა“.

უკრაინა ამერიკის უპრადლეზის სენტრშია!

აშშ-ის სენატში კანონპროექტი წარადგინეს, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, ვლადიმერ პუტინსა და მის ახლო გარემოცვაზე სანქციების დაწესებას ითვალისწინებს.

კანონპროექტი აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ რობერტ მენენდესმა წარადგინა. კანონპროექტი აღნიშნულია, რომ აშშ აგზავნის მკაფიო სიგნალს ვაშინგტონის მზადყოფნის შესახებ, რომ დაანდოს ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც რუსეთის ეკონომიკისთვის დამანგრეველი შედეგები მოჰყვება.

კანონპროექტის მიხედვით, უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, სანქციები დაუწესდება სხვადასხვა თანამდებობის პირებს, მათ შორის პრეზიდენტ პუტინს, პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს, თავდაცვის მინისტრს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს და შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ოფიციალურ პირებს.

ამასთან, ექვსი თვის განმავლობაში აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტს, სახელმწიფო დეპარტამენტსა და დაზვერვას მოუწევს ვლადიმერ პუტინის, მისი ნათესავებისა და ახლო ბიზნესმენების ქონების შესახებ დეტალური ანგარიშის გამოქვეყნება. სანქციები შესაძლოა, მათ წინააღმდეგაც დაწესდეს. სენატის მიერ შეთავაზებული კანონპროექტის თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტი უკრაინაში რუსული ჯარების შეჭრიდან 30 დღის ვადაში ვალდებული იქნება, სანქციები დააწესოს სულ მცირე სამი უმსხვილესი რუსული ბანკისა და გაზ-

სადენ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ. კანონპროექტი უკრაინისთვის დახმარების სახით 500 მილიონი დოლარის გამოყოფასაც ითვალისწინებს.

ევროპაში ახალი შეიარაღებული კონფლიქტის სფეროსა რეალურია

„ევროპაში ახალი შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხე რეალურია. სწორედ ამიტომ იყო დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვანი. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია, რომ ეს ახალი კონფლიქტი არ მოხდეს. სწორედ ამიტომ არის ჩვენი გზავნილი რუსეთისადმი ასეთი მკაფიო, რომ ჩვენ ვართ მზად, დავსხდეთ და ვისაუბროთ საკითხების გრძელი წესის გაგრძელება, მათ შორის შეიარაღების კონტროლზე, რაკეტების ორმხრივ შეზღუდვასა და სხვა საკითხებზე. ამასთან ერთად, ჩვენ ვუცხადებთ რუსეთს, რომ თუ ისინი გამოიყენებენ სამხედრო ძალას, ამას მოჰყვება მძიმე შედეგები. მათ შორის ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები.“

ჩვენ პრაქტიკულ მხარდაჭერას ვუცხადებთ უკრაინას, რათა განვაძლიეროთ მათი თავდაცვისუნარიანობა. უკრაინა არის პარტნიორი და ჩვენ მათ პრაქტიკულ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ვაწვდით სხვადასხვა გზით, მაგრამ უკრაინა არ არის ნატოს წევრი, ხოლო ნატოს მესუთე მუსლი, ანუ უსაფრთხოების გარანტიები ვრცელდება მხოლოდ ნატოს წევრებზე. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა დავიცვათ ალიანსის ყველა წევრი“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

თბილისური მღვდარი გაფხულ-ბისა და ავგონიანი სისხეების შესახებ საეკლესიო-საეკონომიკო ცნობილი, ამავე ბიშოპის თქმულა და კიდევ უფრო მეტი დაწერილა, მაგრამ როგორია გამთარი ცხელ წყლებთან და სითბოსთან ასოცირებულ ქალაქში? რით და როგორ თბებოდნენ თბილისელები, როცა ნამდვილი „გამთარი გამთარი“ დაღებოდა, როცა თბილისის ქუჩები, ბაზარი და სახურავები თოვლით იფარებოდა, როცა მტკვარი იყინებოდა?

„ეს მესამე დღეა, რომ ჩვენს ქალაქში ნამდვილი, ზამთრული ზამთარი დადგა; გუშინ და დღეს თითქმის გაუწყნარებელი თოვლი ასე, რომ დღეს, თხზამათს, ქალაქში ერთ არხში (71 სმ) მეტი თოვლი სძევს“, – წერდა 1879 წლის 18 იანვარს გამოსული გაზეთი „დროება“, რომელიც ასევე წახდა თოვლის მოსვლის გამო ისედაც ძვირი შეშის კიდევ უფრო მეტად გაძვირების გამო:

„ამ გაუმთავრებელი იმედი გააძვირა ქალაქში ყველაფერი. შეშა, სხვათა შორის, ურემი, რომელიც ადრე თოვლის მოსვლამდინ, 5-6 მანეთად იყიდებოდა, ახლა თუნდად-თორმეტ მანეთად იყიდება.“

შეშა, რომელიც ზამთრის სიცხეებთან გამკლავების ძირითადი საშუალება იყო XX საუკუნის 20-იან წლებამდე, დიდი და პატარა ურემებით, შეშის მოედანზე, „კოჭრის კარის“ მახლობლად, დღევანდელი თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე იყიდებოდა. სწორედ აქ იყრიდა თავს მცხეთიდან და საგურამოდან ურემებით მოზიდული შეშა, რომელსაც ჯანაიანი იმერელი მხერხავენი და შემცივებელი, ღარიბი თბილისელები უტრიალებდნენ.

„პოჟალუიტე, პოჟალუიტე!“ – რუსული ჯილ-ჯილით იწვევენ რუსს, ქართველს თუ სომეხს მხერხავე იმერლები, – „ეტა გრამოვი, ეი ბოლ, ჩისტი გრამოვი, სუდარინია!“ ... მიეცი, კაცო, მიეცი, მეტი რაღა გინდა, შე ოხერო, ოქრო ხომ არ არის ეგ შენი ჭყინტი შეშა, მიეცი-მეთქი!“ – ახლა შეშის პატრონის მიუზრუნდებოდნენ შეშის მხერხავენი.

– აი, ასე შთამბეჭდავდა ადრეანს „შეშის მოედანს“ და „ვაგლახი ზამთრის“ ერთ დღეს ევატერინე გაბაშვილი 1890 წელს დაწერილ თავის საახალწლო მოთხრობაში „ღვინია გადაიჩნება“.

შეშის მოედანზე შეძენილი შეშის გარდა, თბილისელები თავიანთ სახლებს ასევე ათბობდნენ მორჯომის ხეობიდან მტკვრით დაცურებული მორებით (1884 წელს მორჯომიდან თბილისში ჩასულა 2 431 ტივი, 1885 წელს – 2 727, 1886 წელს – 2 807, 1887 წელს – 2 510), რომელთა ნაწილი ან პირდაპირ სატიოდან, ანდაც ქალაქში მდებარე შეშის საწყობებიდან იყიდებოდა. ერთი ამგვარი საწყობი, რომელიც საკუთარი ტყიდან მიღებული „ყოველგვარი ღირსების“ შეშას სთავაზობდა მუშტარს, ანდრეას ქუჩაზეც ყოფილა.

ნახშირი და ქარსი

XIX საუკუნის დადგომამდე ანუ მანამდე, ვიდრე თბილისი ევროპულად კეთილმოწყობილი გახდებოდა, ქალაქელებს ცივ ზამთრებთან გასამკლავებლად ან ცუდად იზოლირებულ, ან დახუთულ ბინებში უწევდათ ცხოვრება. აი, რას წერს გერმანელი პუბლიცისტი და მთარგმნელი არტურ ლაისტი ფრეკლე მეფის დროინდელი თბილისის საცხოვრებელ პირობებზე:

„ერეკლე მეფის დროს თბილისში 4 ათასამდე სახლი იდგა, მაგრამ მომეტებული მათგანი ძალიან უღამაზო ყოფილა და შიგნითაც სულ სადა მოწყობილობა ჰქონია. საკმარისია ითქვას, რომ საკვამური იშვიათად თუ ჰქონდა სახლს დატანებული. ფანჯრებშიაც იშვიათია მინები, მათ მაგივრად ფრზითი გაუდენილი ქაღალდი იყო გაკრული ფანჯრის ჩარჩოებში. ასეთი მოწყობილობა შევრ ალაგას დარჩა XIX საუკუნეში.“

კიდევ ერთი გერმანელი მეცნიერი ედუარდ აიხვალდი, რომელიც თბილისში 1826 წელს იმყოფებოდა, საქართველოს შესახებ დაწერილ წიგნში აღწერს თბილისურ დარბაზს, სადაც ასევე შუა ცეცხლს ანთებდნენ:



„შეშის მოედანი“ – ილუსტრაცია ე.კ. გაბაშვილის მოთხრობისთვის „ღვინია გადაიჩნება“



ვასილ მკავანაძის დროს ისტორიას ჩაბარდა ნახშირითა და შეშით თბობის ეპოქა და ცისფერმა ალმა გაათბო თბილისი

სსოპრება თბილისის „ზამთრულ ზამთარში“

„სახლებს ვარდა ტფილისში არის ქვისგან ნაგები კონუსებში შენობები, რომლებიც ზვეთიკენ წვრილდება და არ აქვთ ფანჯრები ან რაიმე გამოსაღები, ვარდა წვერზე მოთავსებული ღია ნაწილისა. ამით ეძახიან დარბაზებს“.

თბილისური დარბაზის რამდენიმე ნიმუში დღემდე შემორჩენილია. რა გასაკვირია, რომ ასეთივე დარბაზები ენახა ფიროსმანის თანამედროვეს, მხატვარ კარაპეტ გრიგორიანს, რომელმაც თავის „ძველი თბილისის იშვიათ ამბებში“ დაწერა: „ყველამ უნდა იცოდეს, რომ პირველ ხანად ძველ თბილისში სახლებათ იყო შუაგულის მაღალ სანათურიანი დარბაზები. ამგვარი დარბაზები მე ჩემის თვალთ მინახავს ოქრომჭედლების უბანში. ეს დარბაზები ოთხ ბოძზე იყო აშენებული. დარბაზებში ზამთარ-ზაფხულ ინთებოდა იყო შუაგულში. რაკი ბანი ღია ჰქონდა, არც ზამთარში

კუნის ამბებია აღწერილი, ამბობს, რომ თბილისის ყოველ ოჯახში, ყოველ დუქანში, ყოველ სახელოსნოში, ყოველ ტრაქტირში, ყოველ ყავახანაში – ერთი სიტყვით, ყველაგან იდგა ქურსი და რომ „ამოდენა ქურსსა და მაყალს ნახშირის მგერი უნდოდა“.

„იმდროინდელი თბილისი ზამთრით, დღეში ათას ტომარამდე ნახშირს ხარჯავდა. სახედარზე გადავიდებოდა ორი ტომარა ნახშირი, რომელიც ერთ ფუთამდე იყო, 25 კაპიკიდან 40 კაპიკამდე ღირდა ვერცხლით“, – ვკითხულობთ იაკობ ბალახაშვილთან, რომლის მიხედვითაც, ძველ თბილისში ასევე არსებობდა მენახშირეების მთავარი შესაკრები ადგილი – ვირის მოედანი (შუა ბაზრის, დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩის მახლობლად), საიდანაც საღამოთი სურსათ-სანოვავით დატვირთული, ხშირად შეზარხოშებულები, მრუნდებოდნენ თავიანთ „სახლებში“ – ქალაქის გარეუბნებში.

„გაუყიდავ ნახშირს ისინი სტოვებდნენ სოლოლაკის მხარეს მჭედლებთან და სხვა ხელოსანთა ფარდულებში. ნახშირს სწავებდნენ თბილისიდან 3-30 ვერსამდე დაშორებულ ხშირტყიან ადგილებში. მენახშირეები მთლიანად დასავლეთ საქართველოდან გამოქვეული ყმები იყვნენ. მენახშირეთ პატარა ამხანაგობები ჰქონდათ. ამხანაგობა კოლექტიურად ჯრიდა ხვები. თხრიდა ორმოებს, წვადა ნახშირს და თანაწორად იყოფდა ფულს. ტყის მუშატონეს ერთ ორმო ნახშირიდან კვირაში ტომარა ნახშირი ეძლეოდა“ (ი. ბალახაშვილი. „ძველი თბილისი“).

XX საუკუნე: ისევ შეშა და ნახშირი...

ფრანგმა არქეოლოგმა ბარონმა დე ბაიმ, რომელმაც საქართველოში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში იმოგზაურა, თბილისის მოშიშველებული ფერდობების გათხრების დროს აღმოჩენილ ხის მსხვილ ღეროებზე დაყრდნობით, გამოთქვა ვარაუდი, რომ ყოველი მოშიშველებული მთა, რომელიც თბილისს გარს ერტყმის, ოდესღაც ტყით იყო დაფარული და რომ ეს ტყეები გაუკაფავო თავდაცვის გასაადვილებლად და მოულოდნელი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, როგორც კანდიდ ჩარკვიანი, საქართველოს მმართველი XX საუკუნის 30-40-იან წლებში, აღნიშნავდა მოგონებების წიგნში, თბილისის მწირი ფაუნის განადგურებაში თავისი „მნიშვნელოვანი წვლილი“ შეიტანეს მენახშირეებმაც.

გერმანელი მეცნიერ-მოგზაური აუგუსტ ჰაქსტაუზენი, რომელიც კავკასიაში 1843 წელს იმყოფებოდა, თავის ორნაწილიან წიგნში „ამიერკავკასია“ (1856), ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „საქართველოში წყალი, გარეული ფრინველი, ნადირი, მდელოები, ტყეები თავისუფალია და არავის საკუთრებას არ წარმოადგენს“.

ესაა ქართველების ტრადიციული კანონი. ტყეები თუმცა ფორმალურად დაყოფილია და ეკუთვნის თემებს, თავად-აზნაურობას და ხაზინას, მაგრამ ყველას შეუზღუდავად შეუძლია მათით სარგებლობა. მუნებრეგია, რომ ამის შედეგად ბევრგან ტყეები მთლიანად განადგურდა და ზარალი კიდევ მოიმატებს“.

ჰაქსტაუზენის მიერ ნაწინასწარმეტყველებმა ზარალმა მომდევნო წლებში მართლაც მოიმატა, რადგან თბილისის მოსახლეობამ ლამის გეომეტრიული პროგრესით დაიწყო ზრდა, რამაც, თავის მხრივ, ერთი ათად გაზარდა მყარი საწ-



შეშის საწყობის რეკონსტრუქცია. ბაზითი „სოფის ფრანკალი“. 1905 წ.

თბებოდა სახლი და არც ზაფხულობით დგებოდა სისხე.“

შუაგულისა და შეშის ღუმელის გარდა, ძველ თბილისში ასევე დიდი გასავალი ჰქონია ქურსს, რომელშიც, როგორც კარაპეტ გრიგორიანსი ჰყვება, ნახშირს იყენებდნენ:

„1860-იანი წლებიდან ნელ-ნელა ელფერს იცვლიან და მერე ცალსართულიანი სწორეზანიანი სახლები შემოდის ხმარებაში. ამათში ზამთრით იდგებოდა ქურსები. ქურსი ასეთი იყო: შუათახით პატარა თონეს ამოსთხრიდნენ და შიგ გაღებულ ნახშირს ჩასდგამდნენ, მერე იმ ორმოში სახლის მწვერები ფეხებს ჩაჰკიდებდნენ, საბანსაც ზედ დაიფენავდნენ და ისრით თბებოდნენ. ამგვარი ქურსები ჯერაც დღეს ყარსის ოლქში ყველგან ხმარებაშია, რადგანაც იქ შეშა ძალიან ძვირია და არც მახლობლათ ტყე არის სადმე.“

ქურსის შესახებ იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ ვკითხულობთ:

„ცეცხლს ადვილად მყალზე, დასდგამენ შუა ოთახში, ზემოდან დაადგენ ერთ დაბალფეხებთან მაგიდას, ამ მაგიდას გადააფარებენ დიდას და სქელ საბანს, ყველა ოჯახის წევრი შემოუმჭვრივდება გარშემო. შეჰყოფენ შიგ ფეხებს, გადმოიფარებენ საბანს და ზედ სადილობენ ან ერთობიან, საქმობენ და სხვ. ამ ქურსის ხმარობა, მდამბო ხალხი დუმელის ნაცვლია.“

იაკობ ბალახაშვილი 1951 წელს გამოცემულ „ძველ თბილისში“, სადაც XIX საუ-

ვაგის - შეშისა და ნახშირის მოხმარება. თბილისის მოსახლეობის ოფიციალური დინამიკა: 1803 წ. - 20 ათასი, 1835 წ. - 25 ათასი, 1865 წ. - 68 ათასი, 1886 წ. - 78 ათასი, 1897 წ. - 160 ათასი, 1913 წ. - 194 ათასი, 1921 წ. - 234 ათასი.

XX საუკუნის 20-იან წლებში, მართალია, დიდი ქალაქები გასათბობად უკვე იყენებდნენ ნავთობ-პროდუქტებსა და ბუნებრივ აირს, მაგრამ შეშის გარეშე თბილისელები მაინც ვერ გადიოდნენ ფონს. აი, რას წერს ცოლისთვის თბილისიდან გაგზავნილ წერილებში მრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი სერ ოლივერ უორდროპი, რომელიც დავით სარაჯიშვილის ყოფილ სახლში (დღევანდელი მწერალთა სახლი მაჩაბლის ქუჩაზე) ცხოვრობდა:

„თოვლი უკვე დევს და დროდადრო ძალიან მცევა. სახლში გათბობა სადამომდე არ ირთვება ხოლმე. ალბათ მეტს რომ ვგარჯობოდე, ძალიან არ გამიჭირდებოდა სიცვივის ატანა, მაგრამ თუ დილის გასვირნებებს არ ჩავთვლით, გარეთ თითქმის ვერ გავდივარ“ (1920 წ. 21 იანვარი).

ქვანახშირი, ნავთობი და გაზი

თბილისში ნავთობს XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც მოიპოვებდნენ და მოიხმარდნენ, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია გერმანელ მეცნიერსა და მოგზაურს ედუარდ აიხვალდს, თუმცა მოიხმარდნენ არა როგორც ენერჯის წყაროს, არამედ როგორც საპოხ მასალას:

„ნავთულის მიდამოები, ტფილისიდან 7 ვერსზე, მტკვრის ნაპირზე არის ნავთობის წყარო, რომელშიც ნავთობი ძალზე მცირე რაოდენობით გროვდება. ალბათ, რადგან მდინარე ასე ახლოსაა. ნავთს აქ იმისთვის იყენებენ, რისთვისაც რუსეთში ფისს ხმარობენ, უმეტესად კი ტიკვების გასაპოხად. ტიკვები ვამეჩის, თხის და ცხვრის ტყავისგან



ქველი თბილისი

უპირატესობას, მაგრამ ხაზს უსვამდა თბილისის პირობებში გაზის სიიფუნს და დაუშვებლად მიაჩნდა მისი უგულუმელოყოფა.

თუმცა წლების განმავლობაში საქმე ამ დადგენილებებსა და მოსაზრებებს იქით აღარ წასულა. მხოლოდ 1910 წლის ნოემბერში გაფორმდა ხელშეკრულება ქალაქის გამგეობასა და მოქალაქე ნ. ჩოლოყაშვილს შორის ამ უკანასკნელის მიერ თბილისში გაზის ქარხნის აგებისა და განათების ქსელის მოწყობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ნავთულში აგებული გაზის ქარხნის სიმძლავრე პირველ ხანებში უნდა ყოფილიყო დღე-ღამეში 15 ათასი კუბ. მეტრი, 6 წლის შემდეგ კი - 30 ათასი კუბ. მეტრი.

6. ჩოლოყაშვილმა შეადგინა გაზის ქარხნის ტექნიკური პროექტი, მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ მალე შეწყდა. თბილისის გაზით მომარაგების პრობლემა გადაუჭრელი დარჩა შორეულ 1959 წლამდე. არადა, ამ ხნის განმავლობაში, ქალაქის მოსახლეობა კიდევ უფრო დინამიურად გაიზარდა სტალინური ინდუსტრიალიზაციის გამო: 1926 წ. - 294 ათასი მაცხოვრებელი, 1939 წ. - 519 ათასი, 1956 წ. - 635 ათასი, 1959 წ. - 694 ათასი.

თბილისის გაზიფიკაციის სათავეებია

1959 წლამდე თბილისის გასათბობად საქვაბეგები ნავთობპროდუქტებსა და ქვანახშირს გამოიყენებდნენ. თბილისის გაზიფიკაციის ისტორია სწორედამდე რომ 1959 წლიდან იწყება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გი. 30 პაპიაშვილმა 1959 წლის მარტში, პარტიის XXI ყრილობაზე განაცხადა, რომ მალე მწყობრში შევიდოდა ყარაღაღ-თბილისის გაზსადენი, რომლის საშუალებითაც აზერბაიჯანიდან მიღებული გაზი მოხმარდებოდა თბილისის და რუსთავის სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებს.

„508 კილომეტრი! ეს მანძილი გაიანა ყარაღაღ-თბილისის გაზსადენის ტრასამ, რომელიც 10 თვეში განახორციელეს მშენებლებმა. გაზსადენი მიღების ესტაფეტური რბოლა დამთავრდა თბილისში ცისფერი ჩირაღდნის ანთებით“, - წერდა 1959 წლის „დროის“ მე-12 ნომერი, რომლის მიხედვითაც: „მშენებლობის პერიოდში გადალახულ იქნა 93 დაბრკოლება, - მთ შორის 72 ხევი და მდინარე! ყველაზე ურთულესი იყო მშენებლობის ფინიში - მდინარე მტკვრის გადმოლახვა. მტკვრის ფსკერზე მყვინთავების მეთვალყურეობით გაითხარა ტრანშეა გაზსადენი მიღების ჩასაწყობად.“

ამიერკავკასიის გაზსადენის, ყარაღაღ-თბილისის ტრასით თბილისში პირველი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი 1959 წლის 6 ნოემბერს მიიღო, რასაც საქართველოს ცკ-ს მაშინდელმა პირველმა მდივანმა ვასილ მუყაანაძემ ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა: „თბილისი და რუსთავი მიიღებენ 1,8 მილიარდ კუბ. მ გაზს წელიწადში. გაზის ეს რაოდენობა თავის თბოუნარიანობის მხრივ ეთანაბრება 4 მლნ ტონა ადგილობრივ ქვანახშირს, რაც 35%-ით აღემატება ქვანახშირის ყოველწლიურ ამოღებას საქართველოს ყველა შახტში. თბილისისა და რუსთავის გაზიფიკაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რესპუბლიკის სათბობის ბალანსს, რკინიგზისა და ქალაქის ტრანსპორტის გათავისუფლება დიდი რაოდენობის სათბობის გადახდისაგან, გააუმჯობესებს მოსახლეობის კეთილდღეობას, ყოფაცხოვრების კულტურას და შექმნის პირობებს იმისთვის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს ადგილობრივი ტყეების გაკაფვა, რომლებიც უდიდეს დინამიკას წარმოადგენენ რესპუბლიკისათვის... გარდა ამისა, იგი ძირეულად გააუმჯობესებს ამ ქალაქების სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, რადგან შეწყდება ჰაერის გაჭუჭყიანება ჭვარტლით.“

1959 წელს ასევე ამუშავდა მცხეთის ატომური რეაქტორი, თუმცა ენერჯეტიკის ეს მიმართულება საქართველოში მეტად არ განვითარებულა, განსხვავებით გაზსადენების მშენებლობისგან. 1963 წელს საქართველომ გაზი მიიღო ვლადიკავკაზიდან, 1980 წელს - ყაზახიდან, 1988-1994 წლებში კი - ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენით. 2006 წელს ამუშავდა შაჰდენის გაზსადენი - სამხრეთ კავკასიის, იგივე ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი წლიური გამტარობით 16 მილიარდი კუბური მეტრი, საიდანაც საქართველოს ტარიფის სახით 5% რჩება.

ჯიშვარი რანჰიანჰვილი.

„რაფიო თაპისუღაპის“ ქსენალისტი.

მხოლოდ უფლის გზით - რწმენით და სიყვარულით!

საბარტოველს მართლმადიდებელი ეკლესია შობის ბრწყინვალე დღესასწაულს - 7 იანვარს, ახალ წლის დადგომას კი 14 იანვარს ზეიმობს. მრევლი აცნობიერებს ცხოვრების ავ-კარგს, რწმენით და სიყვარულით შეს-თხოვს უფალს წყალობას და განახლებას. მეც გადავაგ-ლე თვალი ჩემს წარსულს - სისარული, ნაღველი, გულის-ტკივილი ერთმანეთს უსასრულოდ ცვლიდა. დრო-ჟამი ნაბოძები ღვთისა, განვლილ წლებს ნელ-ნელა სცრიდა და ეს საცერი დრო-ჟამისა, მარადიული, არავინ იცის მი-წიერმა. მხოლოდ მან იცის, უზუნაესმა, რომელმან შექმნა მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ცა და მიწა. უფალი იესო, პატრონი ჩვენი, ჩვენი ნუგეში და იმედი გვიხსნის ბორო-ტისაგან და განსაცდელისაგან, - უფალი, უფალი ძე ღვთისა. გამჩენი გვეუბნება: „ცა ღმერთისაა და დედამიწა თქვენთვისაა, ადამის შვილებო, ნუ ეცდებით ჩემთან ჯიბრს.“

„დიდება მალაღობა შინა ღმერ-თსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა.“

გურამ სალარაძე, პაპის მახსოვრის შპრინკაპის ეპლსის სტიმარონანი.



ღვთისმეტყველები

წმინდა ბასილი დიდი - ახალი წლის ბედნიერად წარმეპარტოველი



14 იანვარს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი წლის პირველ დღეს ზეიმობს, დღესვე არის წინადაცვეთის ხსენება იესო ქრისტესი, ასევე ხსენება წმინდა ბასილი დიდისა. 15 იანვარს სერაფიმ საროველს იხსენიებს ეკლესია. ...ახალი წლის პირველ დღეს ეკლესიაში აღესრულება წმინდა ბასილი დიდის წირვა.

ბასილი დიდი გაიზარდა წმიდათა ოჯახში. პირველდაწყებითი განათლებას მიიღო მისი მამის მიხეილის მიხედვით. მამის სკოლაში, შემდეგ ძალიან დიდხანს უდაბნოში ცხოვრობდა. აღსანიშნავია ის, რომ უდაბნოში გრიგოლი ღვთისმეტყველთან ერთად მოღვაწეობდა.

ბასილი დიდი მართლმადიდებლობის დამცველი იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე. ჰიმოთების თანახმად, ბასილი დიდი წარმოშობით საქართველოდან ყოფილა! ნიშანდობლივია ისიც, რომ ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის კეთილად და ბედნიერად წარმართვას. საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს ბასილი დიდი, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ 14 იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილაკს და მოფერებით მას „ბასილის წვერებს“ ეძახიან.

გიული ლიპარტიანი

ბამარჯვებული - NASA-ს საზაფხულო ბანაკში

ატმოსფერული ინოვაციის კონკურსის 2021 წლის გამარჯვებულები გამოავლინეს. მთავარი პრიზი - აშშ-ში, Nasa-ს საზაფხულო ბანაკში გამგზავნება გუნდმა Elves-მა მოიპოვეს.



გამარჯვებულები Nasa-ს საზაფხულო ბანაკში წელს გაემგზავრებიან. მათ მიერ, კონკურსის ფარგლებში მომზადებული პროექტის მიზანი დახურულ სივრცეში ჰაერის ვირუსებისგან, ბაქტერიებისგან, სპორებისგან და მტვრის ნაწილაკებისგან განმეცხადება და მტვრის საშუალებით, რომელიც ჰაერში მყოფი სხვადასხვა მოლეკულის იონიზაციას ახდენს. კონკურსი 2014 წლიდან, აშშ-ის საელჩოსა და განათლების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. მისი მიზანი უფროსკლასელებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისებაა.



ქვანახშირეჭები ქველი თბილისში

კეთდება, რომლის ბეჭედიანი მხარე შიგნითაა მოქცეული და ნავთობის გაპოხილი; შემდეგ მას წყლით გამოირეცხავენ და ჰაერზე გაჰკიდებენ, სანამ ნავთობი მთლად არ დაიწურება. ამ ტიკვებში შემდეგ ღვინო ინახება, რომელიც მისგან უსიამოვნო ნავთობის გემოს იღებს, თუმცა ამას ეგუებოდნენ. ძველ ტიკვებში ღვინო ძალიან კარგად და დიდხანს ინახება.“

1863 წელს (ვიდრე თბილისი გასათბობად ნავთობპროდუქტების გამოყენებას დაიწყებდა) ნავთობი პირველად განათდა თბილისის რამდენიმე ცენტრალური ქუჩა: სულ აინთო 302 ნათურა. მალევე, 1867 წელს, დაიწყო საკითხი თბილისის ქუჩების გაზით განათების შესახებ. თბილისის განმკარგულებელმა სამმართველომ გაზეთებში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ისიც იყო ნათქვამი, რომ ქალაქს ნავთულში აქვს საკუთარი ნავთობის ჭები, რომლებიც შეიძლება გადასცემოდ პირს, ქალაქის გაზით განათებას რომ იეისრებდა.

1878 წლის 2 მაისს სოლოლაკის ზოგიერთ ქუჩაში მოეწყო გაზით საცდელი განათება. „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში გამოითქვა იმედი, რომ ქალაქის სათათბირო დარწმუნდებოდა ამგვარი განათების უპირატესობაში და უფრო ენერგიულად მოჰკიდებდა საქმეს ხელს.

1895 წელს საქალაქო სათათბირომ გამოყო ორი კომისია. ერთს უნდა წარმოედგინა მასალა და მოსაზრებანი ქალაქის გაზით, ხოლო მეორეს - ელექტროობით განათების შესახებ. 1898 წელს საქალაქო გამგეობამ დაადგინა, რომ თბილისში აეგოთ გაზის ქარხანა და ელსადგური, ქალაქის განათებისთვის გამოეყენებინათ გაზიც და ელექტროენერჯიაც. მართალია, გამგეობა აღიარებდა ელექტროენერჯის

გაზსადენის მშენებლობა მდინარე მტკვარზე.





„ფრთხილად, დროის ქურდობა არ დაგვნაგონ!“

როსის ქალიშვილი, რამაც ქალი იერუსალიმის სამეფოს პირველ დედოფლად აქცია. სომხეთის სამეფო კილიკია ევროპელი ჯვაროსნების ძლიერი მოკავშირე იყო. შესაბამისად, ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ გოდფრიმ „იერუსალიმის ჯვრის“ დიზაინი იმდროინდელი სომხური იკონოგრაფიდან გადაიღო. ამდენად, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ სუთჯვარიანი სიმბოლო უფრო ადრინდელ საუკუნეში შეიქმნა. მაგ, გელარდის მონასტერში აღმოჩენილი სუთჯვარიანი სიმბოლო, ისტორიკოსთა ნაწილის აზრით მე-4 საუკუნით უნდა თარიღდებოდეს, ზოგს კი მე-13 საუკუნეში გამოსახულად მიაჩნია, თუმცა ამას, რომ თავი გაავანებოთ, ეჭვქვეშ აღარ დგება ის ფაქტი, რომ მე-8 საუკუნიდან სუთჯვარიანი სიმბოლოები სომხურ ტაძრებში უკვე ნამდვილად გვხვდება“ (მიხეილ ზღულაძე, „არცთუ ისე უნიკალური დროშა“, იხ. <https://medium.com/iamtbilisi-portfolio>).

ნოემბერს შეუწყდა) და ახალი („რევოლუციური“) დროის ცაიტნოტურ რეჟიმში „დაკანონება“, ისე, რომ „მოკვავშირელი“ საპარლამენტო უმრავლესობიდან მისი აღწერილობის თაობაზე არავის ჰქონდა მკაფიო წარმოდგენა... (მხოლოდ გურამ შარაძე იყო ჯვაროსნულ-კათოლიკური სიმბოლოს სახელმწიფო დროშად დაკანონების კატეგორიული წინააღმდეგე). ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ სააკაშვილის 2004 წლის 25 იანვრის №31 ბრძანებულებით მოხდა „ეროვნული დროშის ზუსტი გამოსახულების დადგენა“, რის შემდეგაც სპეციალისტები საზღვარგარეთ მიაგლინეს, თუმცა, ქართულ „სუთჯვარიანს“ დღემდე ვერსად მიაკვლიეს... როგორც ჩანს, სახელმწიფო დროშის თაობაზე მკაფიო წარმოდგენა არც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ (რელიგიურია, ისტორიული თუ პარტიული...) და თვითონაც ჰერალდიკის საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული „ოფიციალური ინფორმაციით“ სარგებლობდა, რომელიც კონსტიტუტორის შესაბამისად იცვლება... ალბათ ამის გამო, რომ არცთუ იშვიათად, სამთავრობო დანესებულებებშიც და ოფიციალურ

ლონისძიებებზეც განსხვავებული ვარიანტებია გამოყენებული, ხოლო მესუთე პრეზიდენტი ვირუსებისგან დამცავ მის პირბადეზე გამოსახული ორიგინალური „სუთჯვარიანი“ სიმბოლოს წარმომავლობას, ალბათ თავად აგვისნის (არადა, კანონმდებლობით, „ეროვნულ დროშაზე“ ცენტრალური (დიდი) ჯვრის ტოტის სიგანე დროშის სიგანის 1/5-ს უნდა შეადგენდეს, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ დროშაზე კი ეს ჯვარი გაცილებით ვიწრო ზოლებიანი...).

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბიძინა ივანიშვილი სახელმწიფო სიმბოლიკასთან მიმართებითაც გვირდებოდა „სამართლიანობის აღდგენას“, თუმცა პოლიტიკიდან ისე წავიდა, მხოლოდ საკრებულოს შენობის მცირე გუმბათებიდან ჩამოიხსნა „ნაცმოდროშის“ მიერ ჯერ კიდევ 2002 წელს აღმართული მ „სუთჯვარიანი“, ფაქტობრივად კი, „ნაციონალის“ პარტიული დროშა, რომელიც გლოვის დღეებშიც კი არ ეშვებოდა...


დარწმუნებული ვარ, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა თუ ელირსა, სახელმწიფო დროშის, გერბისა და ჰიმნის თაობაზე სპეციალისტებსაც და სამოქალაქო საზოგადოებასაც სერიოზული სჯავბასი მოუწევს (კარგი იქნება, თუ კონკურსი გამოცხადდება). უაღრესად არაგონივრულია, როდესაც სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ფაქტობრივად, ერთი კაცის (თუნდაც, პარტიის) ხუშტურების მიხედვით ვწყვეტთ, ნაცვლად იმისა, რომ კონსტიტუციით განსაზღვრულ „ხელისუფლების წყაროს“ – ხალხს თუ არა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებს მივნიც დავეკითხოთ.

ავთანდილ კახნიაშვილი,
სამართლის დოქტორი.

(პირველი გვერდიდან) სამაგიეროდ, როგორც მიხეილ ზღულაძე აცხადებს: „საქართველოს „ეროვნულ დროშასთან“ მიმართებით, აუცილებლად უნდა ვახსენოთ სომხეთიც, რადგან სუთი ჯვრის ყველაზე ძველი გამოსახულება სწორედ აქ არის ნაპოვნი. სანამ იერუსალიმის მეფე და პირველი ჯვაროსნული პოლიტიკური ერთეულის დამაარსებელი გახდებოდა, გოდფრიმ ძმა, ბალდვინი ბუონენელი, პირველი ედესას პერცოლი იყო (სომხური ურბა, ურფა). ეს ტიტული მას შემდეგ მიიღო, რაც სომხეთის პრინცმა, ურუხან ტოროსმა იშვილა. ბალდვინმა ცოლად შეირთო პრინც ტოროსის ქალიშვილი, რამაც ქალი იერუსალიმის სამეფოს პირველ დედოფლად აქცია. სომხეთის სამეფო კილიკია ევროპელი ჯვაროსნების ძლიერი მოკავშირე იყო. შესაბამისად, ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ გოდფრიმ „იერუსალიმის ჯვრის“ დიზაინი იმდროინდელი სომხური იკონოგრაფიდან გადაიღო. ამდენად, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ სუთჯვარიანი სიმბოლო უფრო ადრინდელ საუკუნეში შეიქმნა. მაგ, გელარდის მონასტერში აღმოჩენილი სუთჯვარიანი სიმბოლო, ისტორიკოსთა ნაწილის აზრით მე-4 საუკუნით უნდა თარიღდებოდეს, ზოგს კი მე-13 საუკუნეში გამოსახულად მიაჩნია, თუმცა ამას, რომ თავი გაავანებოთ, ეჭვქვეშ აღარ დგება ის ფაქტი, რომ მე-8 საუკუნიდან სუთჯვარიანი სიმბოლოები სომხურ ტაძრებში უკვე ნამდვილად გვხვდება“ (მიხეილ ზღულაძე, „არცთუ ისე უნიკალური დროშა“, იხ. <https://medium.com/iamtbilisi-portfolio>).

ამდენად, მინდა მოქალაქეებს შევახსენო, რომ 2004 წლის 14 იანვარს მოხდა „ვადაგასული“ დეპუტატების „მოზილიზება“ (1999 წელს არჩეულ პარლამენტს უფლებამოსილება 2003 წლის 22

პუბლინი და მათი ლირი



„მისი ცოლი მოუპოვებ. ერთი კვირის შემდეგ მეზობლებმა ცოლის დასთან შეუსწრეს. არა გრცხვენია, მისი რეგებს აკეთებო – დაამუნათეს... რა ვიცი, გგონიათ ვიცი, რას ვაკეთებო, წამოიკანავლა მისომ.“
სწორედ ისაა პუბლინი სიმე. მარტო დარჩა მათი ლირივით იმ დროსა, რომ შოპაზი იმიტირებულ წიროვანზე (გლვადელიც კი არ შეუშვას) უაზროდ უშურაბდა მათისმომოლის ხატს ბუნაქარში მომწიპილ პაბარა მკლესინაში.

პირველად „შემეცოდა“. ხვდება, რომ დასასრულისკენ მიდის და უკან შემობრუნება აღარ ძალუძს, რადგან გვერდით ერთი სიმართლის მთქმელი არა ჰყავს. ჯერ იყო და, 10 იანვარს აშშ-მა გადაახია თავზე რუსებს ულტიმატუმი და უაზრო მოთხოვნები იმ ფონზე, რომ თავად არაფრის დათმობა არ უნდა.

დღეს ნატოს 28 წევრმა ერთსულოვნად სამი თითის კომბინაცია უჩვენა, იცის, რომ ეუთოც იგივეს გაიმეორებს. უფრო უარესიც მოხდა. 7 იანვარს ყაზახეთის პრეზიდენტმა ქვეყანაში ვითომ შემოჭრილ 20 ათასი „ტერორისტის“ (ვერ ამტკიცებენ ფაქტებით ვერანაირად) წინააღმდეგ საბრძოლველად მოიწვია ოდაკაბეს, ანუ ფაქტიურად რუსეთის სამხედროები (არადა 6 იანვარს რუსებმა უკვე შეიყვანეს საიდუმლოდ, თოყავეთან შეთანხმებით, ამოუცნობი ფორმით რუსი სამხედროები, რომლებმაც ლიად გაუხსნეს ცეცხლი ალმა-ათისა და ასტანის მოსახლეობას). არ გასულა 5 დღე, რომ გუშინ თოყავემა გამოაცხადა, რომ რუსი და სხვა სამხედროები ორ დღეში დაიწვებენ გასვლას ყაზახეთიდან. ეს შესაძლებელი გახდა არა ამ მაროინეტი თოყავეის ხათროთ, არამედ იმიტომ, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ორი ზარი გაუშვა მოსკოვში და ასტანაში და რუსებმა ვერ გაბედეს ჩინეთის წინაშე ხტუნაობა და მარგარიტა სიმონიანის 6 პირობა ყაზახეთის დახმარების სანაცვლოდ პაერში გამოეკიდა. ჩინეთმა რუსებს თავისი ადგილი მიუჩინა და აჩვენა, თუ ვინაა ცენტრალურ აზიაში „ხაზინი“. გამწარებულმა პუტინმა ბრძანება გასცა და რუსული ძველი ტანკები უკრაინისკენ დაძრა... ალბათ წვრთნების ჩასატარებლად და პროვოკაციების მოსაწყობად უკრაინის საზღვარზე, რადგან მას შტაბური ომის თავი არა აქვთ და რომც გაბედონ, ჯოჯოხეთის დაიტყვანენ თავზე უსერიოზულესი სანქციებით. უკრაინაზე ამ ერთი წლის განმავლობაში განეულია 700 მილიონი დოლარის დახმარება, უკვე ანდვიან ჯაველინებს, სტინგერებს, ბაირატარებს, საჰაერო თავდაცვის სხვა იარაღს და თვითმფრინავებსაც კი, რომლისაც რუსებს ყველაზე მეტად ეშინიათ. ამაზე იტყვიან რუსები „დაპრიგალსაო“, ანუ კაცი რომ თავის თავს

უზამს, მტერიც კი ვერ უზამს. პუტინმა შეძლო ნატოს ქვეყნების ერთ მუშტად შეკვრა თავისი აგრესიული პოლიტიკით. ამით აგრძობინეს მას აშშ-ნატო-ჩინეთმა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე მისი უკანა ეზო აღარ არის. ეს მალე აისახება დადებითად საქართველოზე იმით, რომ დაიწყება პრორუსული ძალების, პირველ რიგში ნაცების, დაძირვა და ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენა, ვილაცებისთვის ყურების აწვევა და დემოკრატიული რეფორმების გატარება, მათ შორის სასამართლოში და საარჩევნო სისტემაში. არ ინერვიულო!

P. S. დამთავრდა მითები ჭკვიან ლუკაშენკოზე და ნაზარბაევზე – ნახეთ რა გონივრულად იქცეოდნენ და ქვეყნები უზედურებას გადააჩინეს. არ გამოუვა არავის ეშმაკობა და რუსების მოტყუება-გამოყენება, ადრე თუ გვიან რუსები მიინტავის აგრესიას ავლენენ ყველგან და კიდევ გამოავლენენ იმ ჩვენს მეზობლებში კავკასიაში და აზიაში, ვისაც რუსების გამოყენება უნდათ და თან თვალი სხვისკენ უჭირავთ. დასკვნა ისაა, რომ რუსეთთან თამაში არ შეიძლება, ან მისი ვასალი უნდა გახდეს, ან აშშ-ს, ან ჩინეთს მიეზრო და რუსეთს ეს კარგად დაანახოს. ჯერ კიდევ ნოე უორდანიას მიხედვით, რომ „პატარას და დიდის კანონი მუდამ ძალაშია“. გამსახურდია რომ ამერიკას რეალურად (ნიქსონი ამას სთავაზობდა, მაგრამ ვერ გაბედა რუსების შიშით) მიმხრობოდა თავიდანვე და „დამოუკიდებელი“ თამაში არ წამოეწყო, ჩვენ ავიცილებდით ამ უზედურებას, რაც მერე დაგვატყდა თავს. დღეს საქართველოს თავისუფლების და ასე თუ ისე დამოუკიდებლობის (მთლად დამოუკიდებელი ატომური ქვეყნებიც კი არ არიან ზოგიერთნი) გარანტი აშშ-ია და არა ევროკავშირი ან ნატო. როცა აშშ ჩათვლის, რომ ჩვენ უნდა შევიდეთ ნატოში, ასეც მოხდება – შეიძლება – მალე, შეიძლება – 10 წელიწადში. ამიტომ უნდა მივხედოთ ქვეყნის შიდა პრობლემებს და უზრუნველყოთ თავისუფალი არჩევნები და დამოუკიდებელი სასამართლო, ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის გამრავლება, იდენტობის მტკიცედ შენარჩუნება“.

ვაჟა შუბითიძე


ეუთოს დაპყრობა და მონაპოვნი სამხედრო ტექნიკა ალმონინის

ეუთოს სპეციალური მისიის დამკვირვებლებმა დონბასში რუსი სამხედროების რამდენიმე ათეული სამხედრო ტექნიკა აღმოაჩინეს. ეუთოს სპეციალური მისიის მოსწინების თანახმად, დონბასში აღმოჩენილ სამხედრო ტექნიკას შორის არის ტანკები, „გრადები“, ნალმტყორცნი, პაუბიციები და ქვემეხები.
ეუთოს მისიამ კონფლიქტის ზონაში ასევე აღმოაჩინა ზალპური ცეცხლის სამი რეაქტიული სისტემა, რომელიც დასახლებულ პუნქტ მირნოეს მახლობლად საკონტაქტო საზონან არის განთავსებული. ეუთოს მისიის ინფორმაციით, ორ სანვრთელ პოლიგონზე კრუგლიკის და მირნო ლუგანსკის ოლქებთან, რომელსაც უკრაინის ხელისუფლება ამჟამად ვერ აკონტროლებს, დამკვირვებლებმა 67 ტანკი, 20 პაუბიცი, ექვსი ტანკსანინააღმდეგო ქვემეხი და სამი ნალმტყორცნი შენიშნეს.

ყაზახეთიდან სამხედრო ჯარების გაყვანა დაიწყო

ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართო თოყაევმა მადლობა გადაუხადა კონტინგენტის სარდლობას და განაცხადა, რომ სამხედრო კონტინგენტის ყოფნამ მნიშვნელოვან როლი ითამაშა ქვეყანაში სიტუაციის სტაბილიზაციის თვალსაზრისით. მან სამხედრო კონტინგენტის მისიას წარმატებული უწოდა და აღნიშნა, რომ ყაზახეთში მათ ყოფნას ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ტერორისტების და ბანდიტების მოგერიების საკითხში.
ამასთან, ყასიმ-ჟომართო თოყაევმა ქვეყნის გუბერნატორებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ტრანსპორტის აღდგენა, სურსათის მალაზიების მომარაგება და მცირე და საშუალო ბიზნესის უმოკლეს ვადებში ამუშავების ხელშეწყობა დაავალა.





ზაზას

მშობლიურ მიწას ავალა შენი შენახვა,
სამაროვანზე ერთმანეთს ცვლის ხვატი
და გრილო.
პირველმა თოვლმა დაგათოვა
გულზე შენ ახლა.
მძიმეა, შვილო?

მოგვი ქალაქი

იქ იწოდება ხალხი სხვადასხვა
განსხვავებული ჯგუფით, ჯიშითაც.
იქ სხვასოფელთა მხრიდან
თავდასხმა
იგრძნო ჩასულმა სოფელ ჭყვიმიდან.

იხილა ქურდიც, ლოთიც, მეგზვრეც,
მაგრამ მაღალი განგების ნებით
ანნახულ ცხენთა შეჭიმვებზე
მან მოიპოვა ტიტული მეფის.

დაადგეს თავზე გვირგვინი ეკლის
(გრძობ ხომ მაცხოვარს შეიყნოს გვიან)
მოკლეს და შემდეგ დაუდგეს ძეგლი,
ძეგლი დაუდგეს გრიგალის გრიალს.

წმინდა მთაზე აქვს ძვალშესალაგი,
რათა იქიდან მოგვიწოდებდეს,
რომ არ იქნება - დამწეს არავგი
და რომ მაღლა დგას მოგვი ცოდვემზე.

გაყინულ გვერდს

ამერიკაში გაყინვის მსურველთა
რიცხვი მატულობს

თქვენ არ მრძანდებით მასა მყვირალა,
ჩუმაღ მდიდრდებით (თავიდან-გროვით),
მილიონს იხდით გასაყინავად,
რომ გაიღვიძოთ მომავლის დროში.

რა მოგიტანათ ნაგასაკურმა
დარტყმამ, მითხარით სულთმობრძავემბა,
რომ ხელმეორედ ამ განსაკურნავ
დედამიწაზე გსურთ მომრძანება.

ფეხქვეშ უფენდენ
ფიანდაგებს ფერად - ფერადებს,
ასმევდენ ჩიტის
რძეს შარბათთან ერთად ყანწიდან.
ცოტადა უკლდა
მეცადინ კაცს ცად აფრენამდე.
ქუხდა მწერალი,
როგორც ქუხდა, ისე არ წვიმდა.

ქაბარინა ჭაპჭაპის
სიყვარული

„ახ, როდის ვნახო მცა ველად
ჩემი გულგული“
ნიკოლოზ პარათაშვილი

თავს ევლებს საამური სიო წყვილს,
ზაღში სხედან მიკრულელები ერთხორც.
ქალს ნასახიც არ ეტყობა სიმორცხვის,
ნივო თითქოს რაღაც სურვილს შესთხოვს.

თავადის ქალს ხელიც მოუფათურა,
ის კი ჯგუის დარიგებას ცდილობს:
„ნიკო, კარგად დაიხსომე - ქართულად
მაფშალია მულაშულია, შვილო“.

ორთავე პეშვით დაგლიე, თერგო,
მაგრამ ვერ გავხდი თერგდალეული.
სხვა ეპოქაში ცხოვრება მერგო,
ორთავე პეშვით დაგლიე, თერგო.

ჯაშალ ინჯია
ორთავე პეშვით დაგლიე თერგო,
მაგრამ ვერ გავხდი თერგდალეული

ჯაშალ ინჯია ერთ-ერთი სიტყვადონიერი ქართველი პოეტი, რომელიც
მოელი ცხოვრება ქალაქ გორში მოღვაწეობს და, სულაც არ იქნება გადაძე-
ტებული ნათქვამი, თუ ვიტყვი, რომ სწორედ მან გახდა გორი პოეტურ
ქალაქად. ქართული პოეზიის ტრადიციულ დიდი ხანია, შემჩნეული აქვთ ჯე-
მალ ინჯიას ლექსის მოწაიკურობა, მკითხველში სიკეთისთვის ბრძოლის ფი-
ნის გაღვიძება და ამ ბრძოლაში თვითონ პოეტის თანამოსაგრეობა.

კვებით შეგძრავდი ქვეყანას, მთელ გორს,
მე რომ მეპოვნა ტატოს რვეული.
ორთავე პეშვით დაგლიე, თერგო,
მაგრამ ვერ გავხდი თერგდალეული.

შენი თოვლივით ტანი მიყვანს,
სიზმარ-კუნძულზე გამინავებ.
რქაწითლის ფიცხი ტანინი ხარ,
მიხეთქავ სისხლის კაპილარებს.
შენთან წყლის ალი მიმიქანავს,
თვალი მაცდუნად ჩამიკანა.
როცა არავინ მიმიკანა,
შენ მკერდში მაშინ ჩამიკანა.
შენ მკერდში მაშინ ჩამიკანა,
როცა არავინ მიმიკანა.
თვალი მაცდუნად ჩამიკანა,
შენთან წყლის ალი მიმიქანავს.
მიხეთქავ სისხლის კაპილარებს,
რქაწითლის ფიცხი ტანინი ხარ.
სიზმარ-კუნძულზე გამინავებ, -
შენი თოვლივით ტანი მიყვანს.

ქსნის სოფელი

დღეს ამღვრეული ქსანი აღწენილ
ხასიათზეა, როგორც გუშინცინ.
დატბორილია სანიადღვრენი,
ხეობაში წვიმს თუ ჩემს გულში წვიმს?!

ვიცი, მივტყვი სადმე ჯემბთან,
რომ წაუქციო ღვინო ანკანა
იმ მეცხიბოვნეს, მტერს ლაჭვიდან
ქსნის კალმახი ვინც დაუქანქანა.

კედლისა და სარკვის
ბაღადა

უგონოდ შენაყვარებმა
ლექს-ანკესებში კედელზე
ცერცვივით შევაყარე და
გავწმილდი უფხო მეთევზე.

ვერ მოვაწონე მე თავი,
სულ დამეკარგა მერე მთლად.
რომელ გზას გაჰყვა, ნეტავი,
წყალმა შთანთქა თუ ხმელეთმა?

გონზე რით ვედარ მოვეგე,
რომ მისას ვერას ვგებულვო.
თქვი, ზღვავე, მიანდე რომელ გემს,
პირში წყალჩაგებულვო.

ეტყობა, ულამაზესმა
ჰპოვა ტოლ-ფარდი აშიკვი,
ვისი გულისთქმა მას ესმა...
პოეტის ოცნებაში კი

დარჩა უმკაცრეს ასულად...
ო, ის რომ წარგემს შეხრიდა...
ეჰ, ჯემალ, რა დრო გასულა
კედელზე ცერცვის შეყრდიან

მიტინგი

დღეს ხალხის ზღვა მობოქარი,
აყოლილი დროის მოდას,
იყოფოდა ერთმანეთთან დატაკებულ
ნაპირებდა
და ჯგლეფთაში მამაპაპურ ზღაპრავით
მოისმოდა

რუპორიდან უპოვართა დაპურების
დაპირებმა.

მთავარი სულ დაგვაფიქვა ხმაბალაღმა
მიტინგებმა -
მტერ-მოყვარე რომ თავხედობს,
მოკვიტინდა, მომჯობინდა.
უთვისტომო იქვეყნა, იკბინება, იტლინკება,
„მომში“ ქართლის ხარჯზე ცდილობს
ამოძრომას „მომშიმიდან“.

საფსუქსიმო რეჟორმა

აღრე არ იყო ასეთი წესი,
თამაშის წინ რომ გაჰყავთ ბავშვები.
ენდე, პატარა გოგონავ, მესის,
არ არის შენი ხელის გამშვები.

ზადიშემისთვის, იყოღე, როსმე
შენს იმ მონაყოლს ექნება ფასი,
ფეხბურთის მეფეს რომ მწვანე მოღზე
ეჭინა შენი ფაფუკი ფაცო.

ის მაინც ბრუნავს

ვინც მოგვევლინენ მონსტრად მამულში
ყველანი ჰგვანან ბოროტ შემოღილებს.
მე არ გახლავართ ნოსტრადამუსი,
მაგრამ ვამტკიცებ, მოვა დრო იგი
ჩემი შვილების სიცოცხლეშივე
კუთვნილ საზღაურს ყველა მოიშვის.

დაუბრუნდება სვანურ სამყაროს
კოდორი თავის მზით და ხეივნივ.
ადგება ფეხზე სამურზაყანო,
რაც აფხაზეთის საგამფენთა
და გალილეო გალილეივით
შესძახებს: გალი საქართველო!

იორაბი

დაბერდა ხევის მინდია,
ფიც-ვერცხლის ფიცხი მლოცველი.
მასთან სნოს ვედარ მივდივარ,
ანადა მახსოვს დრო ძველი:
სალამოს აჩნდა მაგიდას
მისი დღის ნამუშაკარი,
ამოსდიოდა ბაგიდან
ტკბილისიტყვა, ანუ შაქარი.

ვერ სძოვდა იმ ახვრებთან,
ვინც კი მიანდა იროდად.
ყაზმეგთან ვეძას დახვრებდა
და ირემივით ყვიროდა.

სამირტული სანსი

თქვენ გულის გულში მყავხართ, ამდენად
ფოლიანტებში დაფულულ არ გეძებთ,
უკვე თვალეში არ მიღამდება
მე ვახუშტიზე და პლუტარქზე.

კაცობრიობის მამოძრავებელ
ნიმანსვეტებზე მე ვიოცნებე
ისე, ვითარცა ამორძალეებზე,
ფიზიკოსებზე, გენიოსებზე.

„ყოფნა-არყოფნა“, საკითხი დიდხანს
სტანჯავთ რაინდებს შორ დანიამი.
„არყოფნა“! - სული მიუგებს კითხვას
გმინი ექიმის ჟონდანიასი.

2021 წელს ტურიზმიდან
1,2 მილიარდი
დოლარის
შემოსავალი მივიღეთ!

2021 წელი საქართველოში საერთა-
შორისო ტურიზმის აღდგენა სწრაფი
ტემპით გამოირჩეოდა, როგორც შემო-
სავლების, ასევე მოგზაურების კუთხით.
ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის
ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, საერთაშორისო
მოგზაურებიდან საქართველომ 2021
წელს 1,244,941,717 მილიარდი აშშ დო-
ლარის შემოსავალი მიიღო. საერთა-
შორისო ტურიზმიდან მიღებული შე-
მოსავლების აღდგენის დინამიკა 2019
წელთან შედარებით ყოველთვიურად
სწრაფი ტემპით მიმდინარეობს - 2021
წელს აღდგენილია შემოსავლების
38% პროცენტი. რაც შეეხება დეკემ-
ბრის თვეს, აღდგენის მაჩვენებელმა
58% შეადგინა. 2020 წელთან შედარე-
ბით კი შემოსავლების ზრდა 130 %-ს
აღემატება.

„2021 წელს საქართველოში საერთა-
შორისო მოგზაურის რაოდენობამ
1,881,271 შეადგინა. აღდგენის კოეფიციენ-
ტი კი 2019 წლის მონაცემთან შედარებით
20%-ია. 2020 წელთან შედარებით კი სა-
ერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 7.7%
პროცენტით გაიზარდა. 2021 წლის 12 თვე-
ში საქართველოში 1,577,463 საერთაშო-
რისო ტურისტული ვიზიტი შედგა. 2019
წლის მონაცემთან შედარებით ტურისტ-
ული ვიზიტების 31% აღდგენილია. 2020
წელთან შედარებით კი ზრდა 45.1%-ს შე-
ადგენს.“



2021 წელს საერთაშორისო ვიზიტო-
რების ვიზიტების უმეტესი რაოდენო-
ბა საბაერო საზღვრით განხორციელ-
და. კერძოდ, ვიზიტების 51% საქართვე-
ლოს საერთაშორისო აეროპორტების
საშუალებით შესრულდა. აღდგენამ კი
2019 წელთან შედარებით 48% შეადგი-
ნა“, - აცხადებენ ტურიზმის ადმინის-
ტრაციამ.

მსოფლიო ბანკის
შეფასებით, 2021 წელს,
საპროგნოზირებულ
პროდუქტს 10,5 პროცენ-
ტით გაიზარდა!

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2021
წელს, საქართველოს ეკონომიკა 10,5%-
ით გაიზარდა, ხოლო 2020 წელს, ეკო-
ნომიკური ზრდა 5,5% გახდა, 2023 წელს
კი, 5% იქნება. აღნიშნულ მონაცემებ-
ზე დაყრდნობით, საქართველო, ევრო-
პისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს
შორის, ეკონომიკური ზრდის მაჩვენ-
ებლით, წამყვან პოზიციებზეა.

„მსოფლიო ბანკმა, 2022 წლისთვის,
გაზარდა საქართველოს ეკონომიკური
ზრდის პროგნოზი, წინა შეფასებასთან
შედარებით და ის 5,5%-ს შეადგენს. აღ-
ნიშნული მაჩვენებელი ევროპისა და
ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის
ერთ-ერთი საუკეთესოა არა მხოლოდ
2022 წლისთვის, არამედ, საშუალოდ,
2022-2023 წლებში, საქართველოს ზე-
ნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდა
ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვე-
ნებს შორის“, - აცხადებს ეკონომიკის
სამინისტროს ეკონომიკური ანალიზი-
სა და რეგორმების დეპარტამენტის
უფროსი ვახტანგ ცინცაძე.

ლეგიონერები

„ჯეპროსანთა“ ნაკლი

საკალბატორო ჩემპიონთა ლიგაში გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფე“ თურქულ „ბინარ კარშიაკას“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 76:69 დაამარცხა.

სტუმრები პირველი ტაიმის განმავლობაში უკეთ ირჯებოდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში ესპანელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს და საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვეს.

გიორგი შერმადინმა 30 წუთში 14 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 21 გამოდგა და მატჩის MVP გახდა.

მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა, რადგან საპასუხო შეხვედრა თურქეთში გაიმართება.

ვეროლიგის მეოცე ტურში თორნიკე შენგელიას ცსკა სტუმრად ათენის



„ბანათინაიკოსს“ დაუბრუნებია ბერძნული გრანდის დამარცხება საკმაოდ ადვილად – 98:74 მოახერხა.

პირველ ტაიმში მოსკოველები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ და დიდ შესვენებაზე 25-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ, რაც, ცხადია, მატჩის ბოლომდე არ გაუნიავებიათ.

თორნიკე შენგელიამ პარკეტზე 20 წუთი გაატარა და სხენებულ დროში საკუთარ გუნდს 16 ქულით, 4 მოხსნითა და 4 პასით დაეხმარა. ქართველმა მიმდევ ფორვარდმა 10-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 16-ს გაუტოლდა.

არმიელებს ევროლიგაში 11 მოგებითა და 7 ნაკლებით მეშვიდე ადგილი უკავიათ, მომდევნო შეხვედრას კი დღეს შინ ფრანგულ „ლიონ ვილერბანთან“ გამართავენ.



კორტს მიღვა

თაილას დაბრუნდა?

ნოვაკ ჯოკოვიჩის არც ფული აკლია და არც ტიტულები – მოგესვენებათ, იგი კარგახანია მსოფლიოს პირველი ჩოგანია, რითიც ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ კანონთან მაინც მწყრალადაა.

შეგახსენებთ, რომ შარშანწინ გაქანებული ლოკდაუნის დროს მშობლიურ სერბეთში საჩვენებელი ტურნირი მოაწყო, რომლის შემდეგაც კორნავირუსით თვითონ, მისი მეუღლე ელენა რისტიჩი, თანამემამულე კორტის დიდოსტატი ვიქტორ ტროიცი და ამ უკანასკნელის ფეხმძიმე თანამეცხედრე დაინფიცირდნენ.

რომ გვეგონა, გულშემატკივართა კერპი აღნიშნული მწარე გაკვეთილიდან სათანადოდ დასკვნებს გამოიტანდა, ახალ შარში გაეხვია, რომელსაც, დიდი ალბათობით, მკაცრი განაჩენი მოჰყვება. საუბარია ისტორიაზე, რომლის პერიპეტეიებიც ერთ კვირაზე მეტია სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ერთბაშად სამი ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევის ნიშნებს შეიცავს.



1. მას შემდეგ, რაც 16 დეკემბერს კორნავირუსი დაუდასტურდა, ორკვირიანი კარანტინი სამშობლოში უნდა გაეწეო, მაგრამ მეორე დღესვე დატოვა იგი.

2. „ნოლე“ კარგახანის განმავლობაში ცრუობდა, რომ მწვანე კონტინენტზე ყოველგვარი ტრანზიტული გადაჯდომის გარეშე ჩაფრინდა, მაგრამ გაირკვა, რომ გზად ესპანეთში „შეიარა“, რითაც ისიც გაცხადდა, რომ მისი საზღვარიც წესების დარღვევით გადაკვეთა.

3. რაც შეეხება ავსტრალიურ იაღლიშებს, მასზე ტომების დანერგა შეიძლება. მართალია, იქაურმა თემებმა ჯოკოვიჩი რატომღაც შეიწყალა, მაგრამ საბოლოო ვერდიქტი მაინც ემიგრაციის მინისტრმა უნდა გამოიტანოს.

ფორუმი

მორის პეოტსა

ვიმპერისტიბ შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა მორის მშიტიელაშვილმა ტალინში წარმატებით დაიწყო წლებიანდელი კონტინენტური



ფორუმი და მოკლე პროგრამაში მეოთხე ადგილის დაკავებით ფინალში სავალდებულო პროგრამით სრიალის უფლება მოიპოვა.

მან 34 მეტოქესთან დაგვი 92,76 ქულა (51,12 – ტექნიკური ელემენტებისთვის და 41,64 – პროგრამული კომპონენტებისთვის) მოაგროვა და მხოლოდ რუსულ ტრიოს ჩამორჩა.

რაც შეეხება ნიკა ევაძეს, მას 63,60 ქულა ბრძოლის გასაგრძელებლად არ ეყო.

საფეხბურთო მოზაიკა

ზიმბაბველი მსაჯე მაკვეზე 2018 წელს რუსეთში გამართულ მუნდიალზე 2 შეხვედრას გაუძღვა, ასე რომ, კვალიფიკაცია არ დაენუნება, მაგრამ ის, რაც კამერუნში მიმდინარე აფრიკის ეროვნებათა თასის 33-ე გათამაშებაში შეემთხვა, ძნელი ასახსნელია და საუკეთესო შემთხვევაში საათის მოშლას თუ დაბრალდება, თუმცა ვინ იცის, იქნებ საჭირო ოთახში მისასწრება გაუზნა საქმე და ამიტომაც მოიქცა კურიოზულად. საუბარია ტუნისისა და მალის ნაკრებთა შეხვედრაზე, რომელიც აღნიშნულმა არბიტრმა უნებლიე თუ ადამიანური შეცდომით ჯერ 86-ე, ხოლო შემდეგ ბოლო წუთის ამონაწერამდე ორჯერ ვადამდე დაასრულა – ამ დროს მალი 1:0-ს იგებდა.

მართალია, მოგვიანებით იგი მიხვდა (თუ მიახვედრეს?), რომ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო და შხაპმილებულ მოთამაშეებს ბრძოლის გასაგრძელებლად მიზნობრივ უხმო, მაგრამ გაბრაზებულმა ტუნისელებმა ამაზე უარი განაცხადეს, რაც შეიძლება საკმაოდ ძვირი დაუჯდეთ, ვინაიდან ტურნირის რეგლამენტი მსგავს შემთხვევაში მატჩის მიტოვების ინიციატორთა ფორუმიდან მოკვეთას ითვალისწინებს.

არანაკლებ საოცრად განვიითარდა მოკლე ნები იმავე დღის კიდევ ერთი შეხვედრის დაწყების წინ, როცა მავრიტანიის სახელმწიფო ჰიმნის ნაცვლად ორგანიზატორებმა ზედიზედ სამჯერ სულ სხვა ჰიმნები გააუღერეს და ბოლოს თვით ამ გუნდის წევრებმა უმუსიკოდ შეასრულეს ეროვნული მელოდია. ეტყობა, ამანაც განაპირობა გამბიასთან მარცხი – 0:1.

აქვე უნდა ითქვას პირველი ტურის ანტისაფეხბურთო ხასიათის შესახებაც – 12 მატჩში სულ 12 გოლი გავიდა, აქედან 9 თამაში 1:0 დასრულდა, ორი – 0:0 და მხოლოდ გახსნის შეხვედრაში იხილა მაცურებელმა 3 ბურთი (მასპინძელ კამერუნს 2 პუნატი შეაშველეს).



დღევანდელი „ელ კლასიკო“ ახალი ეპოქის დასაწყისი უნდა განდგეს „ბარსელონასთვის“ – აცხადებდა საუდის არაბეთში გასამართავი ესპანეთის სუპერთასის ნახევარფინალური შეხვედრის წინ ხაგი, რომელიც კატალონიელთა მთავარი მწვრთნელის ამბულაში პირველად შეება „სამეფო კლუბს“.

მისი ოპტიმიზმი საფუძვლიანი აღმოჩნდა, რადგან გუნდმა, რომელსაც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ფატი და პედრი დაუბრუნდნენ, აგრეთვე „მანჩესტერ სიტისგან“ ნაყიდი ფერნან ტორესით გაძლიერდა, პრიმერადივიზიონის გამოკვეთილ ლიდერთან, რომელსაც სატურნირო ცხრილში მთელი 17(!) ქულით ჩამორჩება, ძირითადი დრო ფრედ – 2:2 დაასრულა და მხოლოდ დამატებულ 30 წუთში დამარცხდა – 2:3. ეს იყო „რეალის“ საიუბილეო – მე-100 გამარჯვება მარადიულ მეტოქესთან ისტორიულ დავაში 96-ის წინააღმდეგ.

ბსმშ დამატებითა დრომ გამოავლინა იტალიის სუპერთასის მფლობელი. ესაა მილანის „ინტერი“, რომელმაც მშობლიურ „ჯუზეპე მეაცას“ სტადიონზე რეკორდსმენ „იუვენტუსის“ (10 ტიტული) დამარცხებით – 2:1 მეექვსედ შეამართა პრესტიჟული ჯილდო.

შეგახსენებთ, რომ სიმონე ინძაგის შეგირდები „სერია-ა“-შიც მორიგ ტრიუმფს უახლოვდებიან.

ჯანო ბაგრატიონის არდავიწყება

საბაჟო ქართველი



83 წლის ასაკში გარდაიცვალა სასიქადულო მამული შვილი – სპორტსმენი, პედაგოგი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი.

მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

ჯანო ბაგრატიონი იყო ხელბურთელი, მწვრთნელი, თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“; 1973-1984 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში ფიზალზრდის კათედრის გამგედ; 1984-1987 წლებში თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეა; 1987-1991 წლებში – საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; 1991-1993 წლებში – საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე;

1993-1996 წლებში – საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; 1996-1998 წლებში – საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 1999-2004 წლებში იყო საქართველოს მე-1 მონ ვევის პარლამენტის წევრი, ხოლო 2004 წლიდან – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი. გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნიერო მეთოდური ნაშრომი და ერთი მონოგრაფია.

ჯანო ბაგრატიონი გახლდათ თბილისის საპატიო მოქალაქე, მიღებული ჰქონდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენი; იყო ლირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენოსანი, ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენის კავალერი.

რეზო ამაშუკელი იყო ბოგოშაძის სულის დიდი პოეტი!

საქართველოს გულშემატკივარი, სამშობლოს მოჭირნახულე, დაუღალავი ბატონი რეზო (რევაზ) ამაშუკელი დღეს სამზერს ტოვებს.

მისი ბასრი სიტყვა და მკვეთრი პოზიცია იმ რეალობასთან შეჯახების შედეგი იყო, რომელიც გულწრფელად არ მოსწონდა.

მართალია, მისი პოზიციისადმი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს განსხვავებული აზრი ჰქონდა, მაგრამ, ალბათ, ყველა,

ვისაც კი სამართლიანობის გრძობა და ლიტერატურის სიყვარული აქვს, აღიარებს, რომ იგი იყო ბოგოშაძის სულის დიდი პოეტი, რომელიც გამორჩეული გარეგნობით, ძლიერი ხმითა და თავისი შესანიშნავი ლექსების დეკლარირებით წარუშლელად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

აღვაჯენთ ლოცვებს ბატონი რეზოს (რევაზის) უკვდავი სულისათვის, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო ახლობლებსა და გულშემატკივართ მომადლოს მშვიდობა და მისთვის ლოცვის ძალა.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ჩილაძე

მე ბოლნისის ლოგებს ვილიდი...

კიდევ ერთი ვარსკვლავი მოსწყდა ქართული პოეზიის თანავარსკვლავედს.

დავაზუსტებ: ელვარე, თვალისმომჭრელი, თავისთავადობით გამორჩეული ვარსკვლავი. თუმცა არ გამქრალა და ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ მყისვე მარადისობაში დაიდო ბინა...

რეზო ამაშუკელი.

სისხლი სისხლთაგანი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიისა.

მას იმ დროს, იმ ეპოქაში მოუწია ცხოვრება, როცა გონარეული, გავეშვებული ბროლი ქვების სროლით სდევდა მაცხოვარს, მუდამ იმ ხალხში ტრიალებდა, ვისაც დათრობა რომ დათრობაა, დათრობაც კი მხოლოდ სხვისი სევდით, სხვისი ტანჯვით შეეძლო და არა გახარებით.

მას, ჭეშმარიტ პოეტს, ამის ატანა არ შეეძლო, არ შეეძლო ბედნიერი და კმაყოფილი კაცის როლის თამაში. ჰოდა, ისიც ებრძოდა ეშმასა და სატანის მოციქულებს, ვისაც მისი საესავი სამშობლოს მოშობა ეწადა, ვისაც ამ მიწიდან ყოველივე ქართულის ამოშანთვა

სურდა. და თუ ამ ბრძოლაში ხანდახან მეტისმეტად კუშტი და უკმეხი იყო, არსთაგამრიგებ რომ იცის, მხოლოდ იმიტომ, რომ მის უკან ივერთა სისხლით მორწყული მიწა იდგა, მისი სა-



თავგანებელი მამული - რემას ჩამორჩენილი უმშვენიერესი ბედაური, დიდი გაჭირვებით რომ მიიკვლევდა გზას საუკუნეების უღრანებში ისე, რომ აქეთ-იქიდან მგლების ავისმომასწავებელი ყმული ესმოდა.

ადამიანი, თანაც მოაზროვნე თუა, ყოველთვის მარტოობისთვისაა განწირული და ამ ჭეშმარიტებას შეგუებული პოეტი ლამაზი რაინდივით მარტოებრძოდა ქარის წისქვილებს და ამ წისქვილებზე უფრო დიდ ბოროტებებსა და უბედურებებს.

სულ უკვირდა, ვინ მოუყარა თავი ასე ერთად ამდენ პილატესო, ვინ ვინ გააკრა ჯვარზე ლურსმნით ჩვენი ბედკრული სამშობლო, თუ ვინმეს ვერ იტანდა, ყისნაღიან კაცებს ვერ იტანდა; ყელგამოჭრილი ვარდების დარდი ან უხებდა. მხნეც იყო და შეუპოვარიც. იშხნელეების ეშხი ათრობდა, მათი არა-ამქვეყნიური სიმღერები ათბობდა და პოეზიის ჩამქრალ ჭრაქს ავიწყებდა...

კარგად იცოდა, რა მიწის პატრონიც იყო, მამალ ხობის ფრთის დარი მიწისა და ესეც აამაყებდა და მხნეობას მატებდა, ვაზის ჯვარზე სხივივით დახვეული თმისა ეიმედებოდა და კიდევ სანახელში ჩამდგარი ბიჭისა...

ავი მუსაიფი იყო კახთ ბატონის ირაკლისა და ალბათ ცოტა ვინმე თუ მიხვდა, რომ საქართველოს ამ გოროზი და ბრაზიანი მეციხოვნის არსებაში დიდი ბავშვი იყო დაბუდებული, სიყვარულისთვის და ბედნიერებისთვის მოვლენილ ამ ქვეყნად. ბატონო რეზო!

„რა მკაბათევეში მზე ლომზე შევალს“, მუდამ გაგახსენდები ბოლნისის ლომებზე ამხედრებულ მცველ დარიალის კარიბჭისა. სწორედ ეგ ლომები გაგიძღვებიან სულეთისაკენ, ჩემო ძვირფასო უფროსო ძმავო და მეგობარო.

ასკილის ტყეში კი ბავშვებით ტირიან ბეთანიის თეთრი სანთლები და ასე გაცილებენ ზეციური საქართველოსკენ.

ზაალ ბოტკოველი

ჯანო ბაგრატიონი

მწუხარებას გამოვთქვამ სახელოვანი ხელბურთელის, მწვრთნელისა და სპორტის მოღვაწის ჯანო ბაგრატიონის გარდაცვალების გამო. ბატონმა ჯანომ არაერთი გამარჯვება მოუტანა ქართულ სპორტს, შემდეგ კი ათწლეულების განმავლობაში ემსახურებოდა ახალგაზრდა სპორტსმენტთა აღზრდას. ამავე დროს იგი გახლდათ სამაგალითო მოქალაქე მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის, ახალგაზრდებისთვის.



ამ მიმე წუთებში გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებ ჯანო ბაგრატიონის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ირაკლი ლარიგაშვილი

გივი შულაროვი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა

ჯანო ბაგრატიონი

უახლოესი მეგობარი, თბილისის ჭეშმარიტი კოლორიტი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მზია და მანანა ქაჯაიები, ვოვა იოსელიანი, სპარტაკ ქობულა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული იურისტი, უმნიშვნელო რეპუტაციის მქონე პროფესიონალი სამართალდამცველი, უკეთილშობილესი პიროვნება

კაკიბონ კვიციანი

და თანაუგრძობენ განსვენებულის შვილებს დალი და მაია კვიციანიებს, სიძეებს - ლადო ჭანტურიასა და თენგიზ ბერიშვილს.

გურამ სალარაძე ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის

ჯუბა სანავას

გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნოდარ, დემურ, ნათელა მუმლაძეებს ძმის

ბურამ იოსების ძე მუმლაძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგ“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ქეთინო რურუას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ქეთინო რურუა (პ/ნ 02001018838), თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 1 გასასვლელი №6, სართ. 6, ბინა №53
- უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 1 გასასვლელი №6, სართ. 6, ბინა №53 (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.175.01.01.053).
- უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდაამავალი ხანით ვალდებულებებით.
- უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 124387.57 ლარი;
- აუქციონის დაწყების თარიღი: 2022 წლის 17 იანვარი, 14:00 საათი.
- აუქციონის დასრულების თარიღი: 2022 წლის 31 იანვარი, 14:00 საათი.
- აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP76626622; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 766266

6. მოვალე: ქეთინო რურუა (პ/ნ 02001018838), თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 1 გასასვლელი №6, სართ. 6, ბინა №53.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგ“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბუნეფიცირი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP76626622; ლოტის ნომერი: 766266).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 31 იანვრის 10:00 საათამდე.



„ჯადოსნური ახალი წელი, ანუ ერთი კონსის ისტორია“

სამხრეთკავკასიის პირველი არხის ფილმი „ჯადოსნური ახალი წელი, ანუ ერთი კონსის ისტორია“ 14 იანვრიდან კინოთეატრში გავა. ფილმის სატელევიზიო პრემიერა მაყურებელმა ეთერში 31 დეკემბერს იხილა. რომანტიკული, მუსიკალური კომედია სიყვარულის ისტორიას და საქართველოს პირველი არხის არქივში დაცულ უნიკალურ ჩანაწერებს აერთიანებს. მაყურებელი ფილმის ყურებისას წარსულში, ანუ იმ დროში იმოგზაურებს, რა დროსაც ეს უნიკალური მასალები და ცნობილი მუსიკალური ნომრები იქმნებოდა. თანამედროვეობასთან ერთად, ნაჩვენები და გაცოცხლებულია 1960-70-80-90-იანი წლები. ფილმის რეჟისორები: გიორგი ებრაელიძე, ჯაბა მელქაძე; პროდიუსერი: ელენე კოლელიშვილი; როლებში: ნია გუგავა, ლუკა კალატოზიშვილი, კატო კვარაცხელია, კირა ანდრონიკაშვილი, კახა ქორიძე, დათო ეგვინიძე, გონა კაპანაძე, სლავა ნათენაძე, ეკა მუხაგანაძე.

კლასიკური მუსიკა და სათვალავი ნეკლოვის ასაგადად

თურქმენ ფერმერმა იზნეტ კოსაკმა თავის ძროხებს ვირტუალური რეალობის სათვალავები უყიდა, რომლებშიც ცხოველები ზაფხულის მდელოების გამოსახულებებს სედავენ.



ასეთი გადაწყვეტილება კოსაკმა მას შემდეგ მიიღო, რაც რუსეთში ანალოგიური ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ გაიგო, რომლის შედეგადაც ცხოველებში შფოთვის დონე შემცირდა, რძის რაოდენობა კი გაიზარდა. სათვალავების ყიდვის შემდეგ თურქმენ ფერმერმა რძის წარმოება 22%-ით გაზარდა. ის შედეგით კმაყოფილია და კიდევ 10 სათვალავს შეძენას გეგმავს. მანამდე კოსაკი ძროხების დასამშვიდებლად კლასიკურ მუსიკას ასმენინებდა.

ისეთი რა დაუშავა ბავშვმა?

ბრიტანეთში აკრიტიკებენ ქალს, რომელმაც ვაჟს ლუციფერი დაარქვა. 27 წლის ჯოჯი კინგი დევეონში ცხოვრობს და აცხადებს, რომ რელიგიური არ არის და ბიჭს განდგომილი ანგელოზის სახელი მხოლოდ იმიტომ დაარქვა, რომ მისი ჟღერადობა მოსწონს.

მისივე თქმით, ლუციფერის დაბადებამდე მან 10 შვილი დაკარგა, ლუციფერი კი ლათინურად „სინათლის მომგანს“ ნიშნავს. ამ თემზე კინგმა ერთ-ერთ ტელეშოუში განაცხადა, რომლის თემატა უჩვეულო სახელები იყო. შოუს მაყურებლებმა და ინტერნეტ-მომხმარებლებმა კინგის არჩევანი გააკრიტიკეს. უმეტესობას მიაჩნია, რომ სახელის გამო ბიჭი მთელი ცხოვრების განმავლობაში ბუღიანის მსხვერპლი იქნება. ასლა ლუციფერი 7 თვისაა.



ლუციფერი არის სახელი, რომლითაც რამდენიმე მითოლოგიური არსება მოიხსენიება, ქრისტიანულ სარწმუნოებაში კი ასე განდგომილ ანგელოზს, სატანას, უწოდებენ. განდგომილ ანგელოზზე მითითება მომდინარეობს ბიბლიის ტექსტში (ისაია 14:3-20) ნახსენები წინადადების ინტერპრეტაციაზე, რომელშიც ვინმე, სახელით „ციცკრის ვარსკვლავი“ (ლათ. Lucifer) ზეციდან ჩამოგდებულად მოიხსენიება. იგივე ლათინური სიტყვა არის გამოყენებული დილის ვარსკვლავის აღსანიშნავად პეტრეს სახარებაში და სხვაგანაც, თუმცა მას სატანასთან კავშირი არ აქვს. მიუხედავად ამისა, მრავალ გვიანდელ წერილებში ეს ლათინური სიტყვა თარგმანის გარეშე გამოყენებული, როგორც სატანის ზუსტი სახელი.

რა პროდუქტის ჭაბა მკრძალვასთან შეუძლებელია ნებისმიერი რამ მოაზარდონ, რასაც ის ისურვებს, აღმოჩნდა, რომ პრინც უილიამსა და მის ცოლს გარკვეული პროდუქტების მიღება „აკრძალული“ აქვთ.

სამეფო ოჯახის ყოფილი შეფ-მზარეულისა და ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი კულინარის დარეკ მაკგრედის თქმით, მენიუდან დედოფალ ელისაბედის თხოვნით ამოღებული კარტოფილი, ბრინჯი და პასტა, განსაკუთრებით კი ვაზ შამზე. შეფ-მზარეულის განმარტებით, ეს წესი იმიტომ შემოიღეს, რომ დედოფალს ნახშირწყლები არ უყვარს და ვაზში მენიუდან ის სამუდამოდ ამოიღეს.



დედამინას ასტროიდი უსლოვდა


18 იანვარს დედამინას 1 კილომეტრის სიგანის ასტეროიდი „7482“ მოუახლოვდება. ის, მომდევნო 2 საუკუნის პროგნოზების გათვალისწინებით, ჩვენს პლანეტასთან ყველაზე ახლოს იქნება.

ასტეროიდი, რომელიც 1994 წელსაა აღმოჩენილი, 76 192 კმ/სთ სიჩქარით იმოძრაობს. არავინ ელის, რომ მოძრავი სხეული დედამინას შეეჯახება, თუმცა, ეს მოვლენა სწორედ პლანეტასთან მოახლოების მანძილითაა გამოჩენილი. ის დედამინასგან 1609 344 კილომეტრის მოშორებით იქნება. ეს არაა ყველაზე დიდი ასტეროიდი, რომელსაც დედამინასისთვის ჩაუვლია. ამ მხრივ, პირველობა ასტეროიდ 3122Florence-ს ეკუთვნის. მისი სიგანე 9 კილომეტრს აღწევს და ბოლოს პლანეტას 2017 წლის 1 სექტემბერს ჩაუარა.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (NASA) პროგნოზით, ასტეროიდი „7482“ დედამინას თბილისის დროით 01:51 საათზე (ღამით) ჩაუვლის.

იქთიოზაპრის ნამარხი ნეშტი ნაქსადავნი...

დიდ ბრიტანეთში ნაკრძალის თანამშრომლებმა წყალსაცავის განმწმობის სამუშაოების დროს იქთიოზაპრის ნამარხი ნეშტი აღმოაჩინეს. ურნალისტები არქეოლოგებს დაუკავშირდნენ, რომლებმაც დაადგინეს, რომ ეს დიდ ბრიტანეთში ნამოგნი ყველაზე მსხვილი ზღვის მტაცებლის ნეშტია. მისი სიგრძე 10 მეტრია. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ზომისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა ბრიტანული პალეონოლოგიის ისტორიაში.



იქთიოზაპრები დედამინაზე 250-90 მილიონი წლის წინ ბინადრობდნენ. ისინი თანამედროვე დელფინებს ჰგავდნენ. ზღვის ეს მტაცებლები ჰაერით სუნთქავდნენ. იქთიოზაპრები 90 მილიონი წლის წინ გადაშენდნენ. რატუნდი, სადაც ნეშტი აღმოაჩინეს, სანაპიროდან 50 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, თუმცა 200 მილიონი წლის წინ იქ ოკეანე იყო.

განმეორებითი ბუსტარლოვების სტრატეგია ახალი შტამის წინააღმდეგ ნინააღვად ქედიტოუნარო

განმეორებითი ბუსტარლოვების სტრატეგია ახალი შტამის წინააღმდეგ ვერ იქნება ქედიტო. ამის შესახებ განცხადებას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მრჩეველთა ჯგუფის სპეციალისტები ავრცელებენ, რომლებიც „კოვიდ-19“-ის სანაღმდეგო ვაქცინებზე მუშაობენ. მათივე თქმით, წინასწარი მონაცემები ცხადყოფს, რომ დღეს არსებული ვაქცინები „კოვიდ-19“-ის ახალი შტამით, „ომიკრონით“ ინფიცირების პრევენციის კუთხით ნაკლებად ეფექტურია. თუმცა, ეს ვაქცინები კვლავ იცავს ინფიცირებულს დაავადების მძიმე ფორმის განვითარებისგან. ექსპერტები აცხადებენ, რომ აუცილებელია, ისეთი ვაქცინების შექმნა, რომლებიც უკეთ შეძლებენ ინფიცირებისა და „კოვიდ-19“-ის გადაცემის პრევენციას. თუმცა, მსგავსი ვაქცინების შექმნამდე და იმის გათვალისწინებით, რომ „კოვიდ-19“-ის ვირუსი იცვლება, არსებული ვაქცინები უნდა განახლდეს, რათა მათ შეძლონ სათანადო დაცვა „ომიკრონის“ და სხვა მომავალი შტამებისგან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 ვაშა ფშაველას №48
 ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
საბრტაძე ძოგუღია
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურაძე გომიანაშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემელი:
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი“
 საქართველოს რესპუბლიკის „გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა“-1-გაზეთი
 საქართველოს რესპუბლიკის „გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“
 ე. ბაღდავაძის №3

კოლორი
 ჰაუზი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
 რედაქციის მიერ შეუქმნათვის მასალაში დანიშნული ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შეხატულა, გუდაბა არ ემთხვეოდა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ავტორთა ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი
ნომერი
გამოვა
ორგანიზაცია
17 იანვარს

| | | | |
|----|---|--|--|
| სრ | უსტორიული ვაჭრობის ქარხანი: აუზი ფორსი - 3.0875; პარკი - 3.5065; ბრიტანული პირანა სტარლინი - 4.2064; 100 რუბლი - 4.1407; თურქული ლირა - 0.2230; აზერბაიჯანული მანათი - 1.8177; 1000 სომხური დრამი - 6.4181. | აქტიური 14 იანვარისთვის აკროსპორტი საქართველო: ბარ - ლამ -2, ლვ +4 მთიანი რაიონები - ლამ -8, ლვ 0 დასავლეთი საქართველო: ბარ - ლამ -3, ლვ +5 მთიანი რაიონები - ლამ -7, ლვ +1 თბილისი: ლამ -1, ლვ +3 | დაგვიკავშირეთ, მოგვწერეთ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge |
| | სრ | საქართველოს რესპუბლიკა | |